# ნაკადული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1401
1991/2



მშვენიერია ჩვენს
ირგვლივ ყველაფერი,
რაც ბუნებრივია
და პირველქმნილი.

ISSN 0132 - 6007

ბავშვთა კუთხე აშშ-ის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში.



ეს ფოტოშედარება ჩვენი ყმაწვილების გულის გასატეხად როდია გაკეთებული... საკვირველი არაფერია — ეკონომიკურად ძლიერ და თავისუფალ ქვეყანაში უფროსებს მეტი საშუალებანი გააჩნიათ პატარების გულის მოსაგებად...



მაგრამ უნდა გვჯეროდეს და გვწამდეს, რომ დამოუკიდებელ და ბედნიერ საქართველოში ჩვენს ბავშვებსაც ბევრი არაფერი ექნებათ სასაყვედურო... დღეს კი, მიუხედავად სიძნელეებისა, ერთიორად გვმართებს წიგნის სიყვარული...

საბავშვო წიგნის მაღაზია „ნაკადული" თბილისში.

რენა ლალიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული
№ 4 1991 წელი

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს
ყოველთვიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური
ილუსტრირებული საყმაწვილო ჟურნალი



გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია, მოუაროს და უპატრონოს თავის ბავშვებს, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ახალ საქართველოს გაეზარდოს ჯანმრთელი, განათლებული, მაღალგემოვნებიანი თაობა

2. „კარგი მასწავლებელი თავად არის სკოლა", — ამბობს ბატონი თემურ ქორიძე ჩვენს კორესპონდენტთან, მანანა გელაშვილთან საუბარში.

4. რუბრიკით „თვალსაზრისი" გთავაზობთ ადამიანის უფლებათა სკოლაში შესწავლის იდეას.

6. ნინო ხარაზიშვილის პუბლიკაცია „არაფანი არ არსებობს", მოგვითხრობს სწავლების ფორმათა სიახლეებზე, რომლებიც თბილისის პირველ გიმნაზიაშია დანერგილი.

8. საქართველოს დღევანდელობას საოცრად ეხმიანება თედო რაზიკაშვილის მოთხრობა „ფითრი".

11. ჭალადიდელის ლექსით „დედის დარიგება" ვიწყებთ ახალ რუბრიკას: „ლექსი, რომელიც ბებია-ბაბუებს უყვარდათ".

12. სარედაქციო წერილში ნათქვამია, რომ პოლიტიკა ყმაწვილთა საქმე არ გახლავთ. აქვე იბეჭდება ამერიკელი ჟურნალისტის, ჯონათან რაუკის წერილი „საზოგადოებას ესაჭიროება ბავშვები".

13. დი სნაიდერის მოგონება „თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის" ძალზე დაეხმარება ჩვენს ყმაწვილებს ცხოვრების გზაზე შეხვედრილ წინააღმდეგობათა უმტკივნეულოდ გადალახვაში.

14. თუ როგორ ხვდებოდნენ აღდგომის დღესასწაულს საქართველოში, შეგიძლიათ გაეცნოთ გიორგი გოცირიძის წერილის წაკითხვისას.



2



გარეკ. 3



6

16. აქ დაინახავთ, როგორ უპირისპირდება „დიდი აფეთქების" გახმაურებულ თეორიას სტივენ ჰოკინგის მოსაზრება სამყაროს დაბადება-გარდაცვალებაზე.

19. „ორი ძმა". ამ იგავით ვიწყებთ „მაცხოვრის იგავების" ბეჭდვას.

20. თენგიზ ჩალაურის მოთხრობას „თეთრი ბედაური" გთავაზობთ დასურათებულს თენგიზ ფორჩხიძის ნახატებით.

24. ელგუჯა ოგოლაშვილი. „გაზაფხულის შემობრუნება" (ლექსი).

25. შორეული კალიფორნიიდან (აშშ) გამოგვზავნა „ნაკადულის" კონკურსზე თავისი ნაწარმოებები ნოშრევან გელაშვილმა. ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს პოემიდან „დუშეთიდან — შუაფხომდე".

28. „რა ვიკითხოთ" ახალი რუბრიკაა. აქ ორ ნოველას შემოგთავაზებთ რეზო ჭეიშვილის რომანიდან „მუსიკა ქარში".

31-32 — ამ გვერდებზეც არანაკლებ საინტერესო მასალებია

გარეკანის 1-ლ გვერდზე —
დ. იაობაშვილის სლაიდი

გარეკანის მე-4 გვერდზე —
ე. ამბოკაძის ნახატი

მთავარი რედაქტორი
ვალერი ჯინჭარაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე, ნუგზარ აფხაზავა (პ მგ მდივანი), მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ბაბულია შელია, ზურაბ ჭუმბურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი:
384096, თბილისი, კოსტავას ქ., 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-81-81
პასუხისმგებელი მდივნის — 93-53-05.

გადაეცა ასაწყობად 15. 03. 91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 07. 06. 91. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/2. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 567. ტირაჟი 35.000.

ჟურნალი აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.

«НАКАДУЛИ», ежемесячный художественно - публицистический иллюстрированный журнал для школьников Министерства просвещения Республики Грузия.

Цена 40 коп.

Адрес редакции:
380096, гор. Тбилиси,
Ул. М. Костава, № 14.

Гл. редактор
Валерий ДЖИНЧАРАДЗЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თემურ ქორიძე:

# „კარგი მასწავლებელი თავად არის სკოლა!“

ჩვენს მკითხველს უთუოდ აინტერესებს, რას ფიქრობს ქართული სკოლის აღორძინების პერსპექტივაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. მოუცლელობის მიუხედავად, ბატონი თემურ ქორიძე სიამოვნებით დათანხმდა ინტერვიუზე „ნაკადულის“ კორესპონდენტს მანანა გელაშვილს.

— დღეს ალარავის, — არც მასწავლებელს, არც მშობელს და არც თვით მოსწავლეს — ეჭვი აღარ ეპარება იმაში, რომ ასეთი სკოლა, ამგვარი განათლების სისტემა, ახლა რომ გვაქვს, ვერ გაგვიზრდის ადამიანებს, რომლებმაც მომავალ საქართველოს უნდა მოუარონ. უეჭველია, ცვლილებები, და, ალბათ ძირფესვიანი ცვლილებები, ამ სფეროში აუცილებელია...

— რა თქმა უნდა, სერიოზული ცვლილებების ჩატარება სასურველი იქნებოდა, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენ საამისო პირობები არა გვაქვს. მე ვგულისხმობ იმას, რომ ცხოვრების ძველმა წესმა ჩამოაყალიბა განათლების ისეთი სისტემა, რომელმაც ძალზე დააზარალა არა მარტო განათლების მუშაკები, არამედ ახალგაზრდებიც და, საერთოდ, მთელი ჩვენი საზოგადოება. იმისათვის, რომ რაიმე შეიცვალოს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სრულიად ახალი ტიპის პედაგოგი და, მოგეხსენებათ, ამგვარი მეტამორფოზა და სახეცვლილება ადამიანისა ერთბაშად არ ხდება. ამიტომ ცვლილებები თანდათან უნდა მოხდეს, არსებული ძალების გამოყენებით.

**— თქვენ თავად როგორ გესახებათ, ვთქვათ, ახალი სკოლის ტიპი?**

— უახლოეს ხანში მოსალოდნელია საფეხურიანი სწავლების შემოღება: ჯერ იქნება დაწყებითი სკოლა, ანუ პირველი საფეხური, შემდეგ — მეორე საფეხური, ზედა კლასებში კი — დიფერენცირებული სწავლება. ასე რომ, მთლიანად შეიცვლება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სისტემა, როგორც ასეთი, მაგრამ იქნება აუცილებელი მინიმუმი, რომელიც ყველამ უნდა გაიაროს. ყველა საფეხური ძირეულად იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. ის, ვინც პირველ საფეხურებზე ვერ გამოამჟღავნებს მასალის შეთვისების შესაფერის უნარს, რა თქმა უნდა, საბოლოოდ ვერ გააგრძელებს სწავლას... ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც მე მესახება სადღეისოდ განსახორციელებელ ვარიანტად.

**— ბატონო თემურ, მოგეხსენებათ, თბილისში, ქუ-**

# კითხვა-პასუხი

თაისში, ჩოხატაურში და სხვაგანაც გაჩნდა გიმნაზიები, კოლეჯები... ეს, უბრალოდ, სახელების გადარქმევაა, თუ?..

— უნდა გითხრათ, რომ, საერთოდ, სწავლის ყოველგვარ ახალ ფორმასთან დაკავშირებით, — გიმნაზიები იქნება ეს, კოლეჯები თუ ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები — მე ვარ ერთი აზრისა: თუ მივაღწევთ შესაფერის, შესაბამის ხარისხს ცოდნისას, მაშინ, რასაკვირველია, ნებისმიერი ფორმა პროგრესულია, მაგრამ თუ იმავე რანგის პედაგოგებით დავაკომპლექტებთ ამ გიმნაზიებს ან სხვა სასწავლებლებს, რა დონის პედაგოგებიც მასობრივად გვყავს (რა თქმა უნდა, კარგი მასწავლებლებიც გვყავს, მაგრამ საერთო რაოდენობასთან შედარებით ეს ძალზე მცირეა), თუ საქმეს ისევ ძველებურად მოაზროვნე ადამიანები მოჰკიდებენ ხელს, ისინი მხოლოდ სახელს გაუტეხენ ამ სასიკეთო წამოწყებას. გიმნაზია, თავისთავად, მაშინაა მისაღები, თუ იქ თავს მოიყრიან უაღრესად კვალიფიციური პროფესიონალები და იქნება სწავლების ძალზე მაღალი ხარისხი. თუ ასე არ მოხდა, მას არავითარი ფასი არ ექნება და გიმნაზიებისა და კოლეჯების შექმნის მოდური მოძრაობა სულ მალე დაკარგავს პოპულარობას.

**— მასწავლებელი ყველგან, ყოველ დროში გამორჩეულად პატივსაცემი იყო და უნდა იყოს, ბუნებრივია. არაბუნებრივი ისაა, რომ ჩვენში, ბოლო ხანებში მაინც განსაკუთრებით, ძალზე შეილახა ამ პროფესიის ავტორიტეტი — პედაგოგი, კარგა ხანია, მოძღვარი აღარაა ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის...**

— დიახ, სამწუხაროდ, ასე გახლავთ... მე, მაგალითად, ერთი რამ მწამს: კარგი მასწავლებელი თავად არის სკოლა და იგი თვითონ აძლევს მიმართულებას აღსაზრდელის, მოწაფის ცხოვრებას. ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, ვისი მოწაფეა, სწავლის დროსაც და მერეც, როცა ვაჟკაცდება... და, საერთოდ, იგი ბოლომდე ვინმეს მოწაფედ უნდა რჩებოდეს, თუმცა, რასაკვირველია, გარკვეული დროის შემდეგ ადამიანი თავის თავს თვითონვე ზრდის პროფესიონალად იმ სფეროში, სადაც საქმიანობა უხდება. სამწუხაროდ, ასეთი მასწავლებელი ძალიან ცოტა გვყავს. ჩვენი სკოლები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. სკოლაში მიღება ტერიტორიული პრინციპით ხდება — რომელი სკოლაც ახლოსაა, იმ სკოლაში მიჰყავთ ბავშვი, სხვა განსხვავება მათ შორის არ არსებობს, არადა, პირიქით უნდა იყოს, სწორედ იმიტომ უნდა შედიოდეს ამა თუ იმ სკოლაში ბავშვი, რომ ეს სკოლა მისთვის საინტერესოა, რომ ეს ის სკოლაა, სადაც იგი უნდა სწავლობდეს, სხვა, მეორე სკოლა, სრულიად განსხვავებული უნდა იყოს. ტყუპის ცალივით ერთმანეთს დამსგავსებული სკოლები — ერთნაირი, სტანდარტული პროგრამებით, სტანდარტული, ვითომდა მეთოდური მითითებებით, რბილად რომ ვთქვათ, საშინელებაა. ფაქტობრივად, ეს არის ანტისაგანმანათლებლო სისტემა, მიმართული იქითკენ, რომ როგორმე ჩაახშოს ადამიანში პიროვნული და მოამზადოს უამრავი სტანდარტულად გაუნათლებელი ადამიანი.

მე მგონია, რომ ნამდვილი პედაგოგი ყოველთვის იპოვის იმის საშუალებას, თვითონვე, ყოველგვარი კარნახის გარეშე ჩამოაყალიბოს მოწაფის სულიერი კონსტიტუცია...

საბედნიეროდ, ჩვენს ახალგაზრდობას მართლაც ბევრი საყვარელი პედაგოგი ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ჩვენს სკოლებში მცირეა. მოგეხსენებათ, კარგები ყოველთვის მცირენი არიან, მაგრამ არა უშავს, ყველაფერს დრო უნდა, დროთა განმავლობაში ჩვენი სკოლა შეიცვლება. ამას ისიც გამოიწვევს, რომ მთლიანად შეიცვლება ჩვენი ცხოვრების წესი, რომელიც არამც და არამც არ გამოაცალკევებს განათლების სისტემას, საგანმანათლებლო ცხოვრებას ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის სხვა სფეროებისაგან...

მწამს და მჯერა: უახლოეს ხანში ჩვენ ვიგრძნობთ, როგორ შეიცვლება ცხოვრების წესი ჩვენში და, ბუნებრივია, ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთი შენაკადი იქნება ამ ახალი ცხოვრებისა. რა თქმა უნდა, არის გარკვეული კრიზისის პერიოდი როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ეს კრიზისი წარმავალია, იგი დაიძლევა.

**— ალბათ, ჩვენს ბავშვებს დაუბრუნდებათ წიგნის სიყვარულიც. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მკვეთრად შეინიშნება ცოდნის შეძენისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება...**

— ცოდნისადმი ეს საოცარი დამოკიდებულება იმიტომაც არსებობს, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იგი არ ფასობდა, ცოდნა არ იყო ის ღირებულება, რომლის მოპოვებისთვისაც ბრძოლა ღირდა. საერთოდ, ღირებულებები არასწორად იყო შეფასებული. მიაჩნდათ, რომ გაცილებით ფასეულია პროტექცია, ქრთამი და ამაზე მუშაობდა ხალხი, ამით იყო დაკავებული ადამიანთა აზროვნება და, საუბედუროდ, ახალგაზრდობის აზროვნებაც. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი უფროსკლასელების ნაწილი (მე ყველას ვერ მივაყენებ შეურაცხყოფას) მზად არის, ყველაფერზე წაიყვანოს მშობლები, ოღონდ კი უმაღლეს სასწავლებელში შევიდეს. საუბედუროდ, უმეცრების კატასტროფის წინაშე მდგარი ახალგაზრდობა, დიდი ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა (და ეს მათი ბრალი არ არის, ეს აქამდე არსებული სახელმწიფო სისტემის ბრალია) მართლაც მონაწილეობდა ამ კორუფციაში...

**— ერთი სიტყვით, ერთგვარი ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად უნდა გვქონდეს?**

— რასაკვირველია! სასიკეთო ცვლილებები ჩვენს სკოლას უახლოეს ხანში დაეტყობა!

ბენადი სანაიას ფოტო



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანის უფლებათა შესწავლა სკოლაში

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მოუწოდა რა ყველა თავის წევრ სახელმწიფოს, გამოექვეყნებინა დეკლარაციის ტექსტი და ხელი შეეწყო მისი გავრცელებისა და შესწავლისათვის ძირითადად სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში.

დეკლარაცია რომ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა, მსოფლიო ასოციაციამ „სკოლა, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი“ (ამ ორგანიზაციის შესახებ ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში მოგითხრობთ) თხოვნით მიმართა ჟენევის (შვეიცარია) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ლექტორებსა და სტუდენტებს, მოეხდინათ ამ დოკუმენტის ტექსტის ადაპტირება.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს დეკლარაციის ახალი ვარიანტის გაცნობა. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს, სადაც ორიგინალური ტექსტი თეთრი შრიფტითაა წარმოდგენილი, ხოლო გადაკეთებული — შავით.

ამასთან, იმედი გვაქვს, ადამიანთა უფლებების სკოლაში შესწავლის იდეა ჩვენს სკოლებსაც დააინტერესებს.

### მუხლი პირველი

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი თავმოყვარეობითა და უფლებებით. იგი დაჯილდოებულია გონებითა და სინდისით, ამიტომ ადამიანთა ურთიერთობა უნდა წარიმართოს ძმობის ვითარებაში.

**ბავშვები იბადებიან თავისუფლებად, ამიტომ აუცილებელია, ისე მოვეპყრათ მათ, როგორც თავისუფალ ადამიანებს.**

### მუხლი მეორე

ნებისმიერი ადამიანი უნდა სარგებლობდეს ყველა უფლებით, რომელთაც ეს დეკლარაცია ღაღადებს, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობისა, ქონებისა, წარმოშობისა ან სხვა მდგომარეობისა. ამას გარდა, არ უნდა ხდებოდეს არანაირი გამოყოფა რომელიმე ქვეყნისა ან ტერიტორიისა, რომელსაც ეს ადამიანი ეკუთვნის, პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის მიხედვით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, დაქვემდებარებული, არათვითმმართველი ან სხვა მხრივ შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

**...ყველას აქვს უფლება, სარგებლობდეს ყველაფრით, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი:**

**— მიუხედავად იმისა, თუ იგი სხვა ენაზე ლაპარაკობს;**

**— მიუხედავად იმისა, თუ მისი კანის ფერი სხვანაირია;**

**— მიუხედავად იმისა, თუ იგი სხვანაირად ფიქრობს;**

**— მიუხედავად იმისა, თუ ის სხვა რელიგიას აღიარებს;**

**— მიუხედავად იმისა, თუ იგი შენზე ღარიბია ან მდიდარი;**

**— მიუხედავად იმისა, თუ იგი სხვა ქვეყნიდანაა.**

### მუხლი მესამე

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრების უფლება, თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება.

**შენ გაქვს ცხოვრების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.**

### მუხლი მეშვიდე

ყველა ადამიანი თანაბარია კანონის წინაშე და აქვს უფლება, ყოველგვარი განსხვავების გარეშე დაიცვას კანონი.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, რომლებიც არღვევენ წინამდებარე დეკლარაციას.

**კანონი ყველასათვის ერთია: მის წინაშე ყველა თანაბრად აგებს პასუხს.**

### მუხლი ოცდამეექვსე

1) ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება. დაწყებითი და ზოგადი განათლება აუცილებლად უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათ-

დათო ფხიაკიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ⊙ თვალსაზრისი


ანა ნიკაძე. 4 წლის.

ლება სავალდებულოა. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხოლო უმაღლესი განათლება — ყველასათვის ხელმისაწვდომი, თითოეულის ნიჭიერების გათვალისწინებით.

2) განათლება მიმართული უნდა იყოს პიროვნების სრულყოფისაკენ და უნდა ავითარებდეს მასში პატივისცემის გრძნობას ადამიანის უფლებებისადმი, თავისუფლებისადმი. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ხალხებს, რასებსა თუ რელიგიურ დაჯგუფებებს შორის ურთიერთგაგებას, მოთმინებას, მიტევებასა და მეგობრობას, რაც მიეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

3) მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება, შეურჩიონ თავიანთ მცირეწლოვან შვილებს განათლების სფერო.

**შენ გაქვს უფლება:**

**— იარო სკოლაში;**

**— ისწავლო და არაფერი არ გადაიხადო ამაში;**

**— დაეუფლო რაიმე პროფესიას, ან გააგრძელო განათლების მიღება შენი შეხედულების მიხედვით;**

**— სკოლაში უნდა გქონდეს შესაძლებლობა, განავითარო შენი ნიჭი და ტალანტი, უნდა მიეჩვიო სხვა მოსწავლეებთან საერთო ენის გამონახვას, მიუხედავად იმისა, რომელ რელიგიას აღიარებენ ისინი და რომელი ქვეყნიდან არიან ჩამოსული;**

**შენს მშობლებს აქვთ უფლება აირჩიონ, რა და როგორ ასწავლონ სკოლაში.**

მუხლი ოცდამეშვიდე

1) თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, დატკბეს ხელოვნების ნიმუშებით, ჩაერთოს მეცნიერულ პროგრესში და ისარგებლოს მისი სიკეთით.

2) ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისი მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვისა, როცა საქმე გვაქვს მისი ავტორობით შექმნილ სამეცნიერო, ლიტერატურული თუ მხატვრული ნაშრომებით მიღებულ შედეგთან.

**ვინც უნდა იყო შენ, მხატვარი, მწერალი თუ მეცნიერი, უნდა გქონდეს საშუალება, ითანამშრომლო სხვებთან და მათთან ერთად ისარგებლო საერთო მონდომების შედეგად მიღებული ყველა სიკეთით.**

**შენი შრომა უნდა იყოს დაცული, რათა თავისუფლად ისარგებლო მისი შედეგით.**

მუხლი ოცდამეცხრე

1) ყველა ადამიანს აქვს ვალდებულებანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების სრული და თავისუფალი განვითარება.

2) თავისი უფლებებისა და თავისუფლების გამოყენებისას ყველა ადამიანს ევალება, პატივი სცეს იმ შეზღუდვებს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ პატივი სცეს და აღიაროს სხვა ადამიანთა უფლებები, აგრეთვე დააკმაყოფილოს მორალის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

**...შენ გაკისრია მოვალეობანი იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შორისაც ცხოვრობ და რომლებიც გაძლევენ საშუალებას, განავითარო საკუთარი პიროვნული თვისებები.**

**კანონი არ ართმევს ადამიანს თავისუფლებასა და უფლებებს, მაგრამ ამავე დროს იძლევა იმის საშუალებას, რომ თითოეულმა თქვენგანმა პატივი სცეს სხვას და იმის იმედიც გქონდეს, რომ შენც დაგაფასებენ.**

„კურიერ იუნესკო"
1990 წ. ივლისი.


მარად ბიგაური. 13 წლის.




## პუბლიკაცია

საქართველოში დღეს უკვე 18 გიმნაზიაა. ამათგან 8 გახსნილია თბილისში, 2 — ქუთაისში. გიმნაზიები მეტნაკლები წარმატებით მოქმედებენ რუსთავში, აბაშაში, სენაკში, გალსა და ჭიათურაში.

მათ უთუოდ დაუგროვდათ მუშაობის გარკვეული გამოცდილება. გამოვლინდა თეთრიცა და შავიც. არაა გამორიცხული, რომ ზოგან მხოლოდ სახელწოდების შეცვლა მოახერხეს, ამის იქით კი ველარ წავიდნენ...

ჩვენი კორესპონდენტის პუბლიკაცია საშუალებას მოგცემთ გაიგოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში.

# პრადანი არ არსებობს

გიმნასიონს მწიგნობართა და სწავლისმოყვარეთა თავშესაყარ ადგილს უწოდებდნენ ანტიკურ საბერძნეთში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კი, ადამიანის მაღალი ინტელექტისა და აღზრდილობისათვის რომ უნდოდათ ხაზი გაესვათ, გიმნაზიადამთავრებულიაო, იტყოდნენ. ერთსა და ორს არ უამაყნია იმ საოცარ გიმნაზიებში აღზრდილი ბებია-ბაბუებით. მეცნიერებათა საფუძვლების სრულყოფილი ცოდნა, უნაკლოდ შესწავლილი უცხო ენები, ცეკვა-მუსიკა, საუკეთესო მანერები... განა რამდენი მოეთხოვება ერთ ადამიანს, მით უფრო მაშინ, თუ ზნეობითაც თავისი მაღალი ინტელექტის დონეზე დგას!

ჩვენ დავიღალეთ ექსპერიმენტებით და ახლა ისევ ძველთან, დრო-ჟამისგან გამოცდილთან მიბრუნებას ვცდილობთ. ახლაღა დავინახეთ, საყოველთაო საშუალო განათლებამ რა ხვითოსაც შეგვყარა. ამ საბედისწერო „საშუალობის" ბეჭდითაა დაღდასმული ჩვენი დღევანდელი სპეციალისტი — საშუალო ნიჭიერების, საშუალო ცოდნის საშუალო გერგილიანობის მქონე, სამწუხაროდ — მონდომებითაც საშუალო.

გახსენდებათ ზღაპარი? — მიატანა უფლისწულმა გზაჯვარედინს და ერთბაშად რამდენიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. საჭირო კი იყო ერთადერთი, შეუმცდარი არჩევანი...

და აი, თბილისში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი გიმნაზია. წინასწარ შევთანხმდეთ: გიმნაზია ერთგვარი საუნივერსიტეტო დაწესებულებაა და აქაურთა მიზნებსა და გაკეთებულსაც ამ მოთხოვნათა სიმაღლიდან დავხედოთ. გავითვალისწინოთ ისიც, რომ დღეს არა მარტო პოლიტიკურად, ინტელექტუალურადაც ძალზე უჭირს საქართველოს. დღეს ჩვენს ქვეყანას ღონიერი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ინტელექტუალური ელიტა სჭირდება.

მთავარი გზა ამ დიდი მიზნისკენ ჩვენი განათლების სისტემაზეც გადის და ერთი იმედი ისიც არის, რომ ჩვენს რესპუბლიკას უკვე გაუჩნდა რამდენიმე გიმნაზია საკმაოდ თამამი და შორს მიმავალი შემოქმედებითი გეგმებით.

მათ შორის პირველი — თბილისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზია — უკვე წელიწად-ნახევარია, მოქმედებს. საგულისხმოა, რომ ამ სასწავლებელს საკმაოდ ძლიერი, მობილიზებული პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეთა კონტინგენტი (1000 ბავშვი) ჰყავს. ახალგაზრდა სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ სწორედ ამ ძლიერ პოტენციურ შესაძლებლობებს უნდა დაყრდნობოდნენ. უნდა ითქვას, რომ არც შეცდნენ. თავისი ქნა იმ ფაქტმაც, რომ გიმნაზიის პედაგოგთა შორის ათზე მეტი სხვადასხვა მეცნიერებათა კანდიდატია. უთუოდ ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობით დაიწყეს. მუშაობის პრინციპი კი საკმაოდ უკომპრომისო შეირჩა. გარკვეულ კონდიციამდე დაიყვანეს სასკოლო დისციპლინათა ერთი ნაწილი (კერძოდ, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია). ამ პატარა „ქირურგიულმა" ჩარევამ — სასკოლო პროგრამებში დამკვიდრებული უამრავი „მკვდარი" ინფორმაციის „ამოკვეთამ" — მართლაც მოიტანა საშური შედეგი. გაჩნდა ახალი სასწავლო დისციპლინები: მეცნიერების განვითარების ისტორია, მსოფლიო კულტურის შედევრები, ლოგიკა, ქართული კულტურისა და ხელოვნების, რელიგიის, თეატრის, კინოსა და მუსიკის ისტორიები. თუმცა ამ თამამ გარდაქმნებზე პირდაპირ არ წასულან. ჯერ კიდევ 25-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლად იწოდებოდნენ, მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვა რომ ჩაატარეს. გაინტერესებთ ამ გამოკითხვის შედეგი? წიგნისადმი საერთო უგულისყურობა (ბევრი-ბევრი, სათავგადასავლო წიგნს ან დეტექტივს თუ წაიკითხავდნენ), საერთო ჰუმანიტარული განათლების ძალზე დაბალი დონე, გარკვეული ცალმხრივობა. ნებსით თუ უნებლიეთ დამკვიდრებული სასწავლო პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პუბლიკაცია

ცესში... და ეს მაშინ, როცა სწავლების დონე, სხვა სკოლებთან შედარებით, ანგარიშგასაწევად მაღალი ჰქონდათ, ველარ აუდიოდნენ მათემატიკურ ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში გამარჯვებულებს, ჰყავდათ მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირის „ნორჩი ფიზიკოსი“ მონაწილეც.

პრინციპულად დადგა ბავშვების ფიზიკური მომზადების საკითხიც. ახლა ფიზკულტურის გაკვეთილებს ადრინდელივით მხოლოდ კვირაში ორჯერ კი არა, ყოველდღიურად ატარებენ, თანაც მხოლოდ ძალ-ღონისა და ენერგიის უსისტემო ხარჯვით კი არ გადიან ფონს — ხტომასა და სირბილს აქ სისტემატურად მასაჟი, აუტოტრენინგი და გარკვეული ფსიქოლოგიური მომზადება ენაცვლება.

თავდაპირველად გიმნაზია გაიხსნა VIII-IX კლასების ბაზაზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გიმნაზიელთა საკონკურსო შერჩევა ხდებოდა შედარებით დაბალი კლასების მოსწავლეებში. ახლა კი, უკვე რამდენიმე თვეა, გიმნაზიასთან პროგიმნაზიაც (II კლასიდან) არსებობს. პირველი კლასი კი პროგიმნაზიის ე. წ. მოსამზადებელი ჯგუფია.

შედეგები? რა თქმა უნდა, მეტი შემოქმედებითი სითამამე და, ასე გასინჯეთ, იმპროვიზაციულობაც კი შეიძინა თითოეული აქაური ბავშვის ნიჭერებამ. უკვე გამოკვეთილ მიდრეკილებებს აქ უფრო უგანივრდება კალაპოტი. ყალიბდება მოზარდის მსოფლმხედველობა, იხვეწება გემოვნება, იკვეთება საკუთარი შესაძლებლობებისადმი მომთხოვნელობა და ინტერესი...



ეს უკვე შემოქმედებაა და ისევე მისასალმებელია, როგორც მმართველობის სულ ცინცხალი ფორმა, გიმნაზიელების მიერ ახლახან დანერგილი. ეს გახლავთ გიმნაზიის საბჭო, რომელიც, ფარული კენჭისყრის წესით არჩეულ მასწავლებლებთან, მშობლებთან და შეფებთან ერთად, თვით მოზარდებსაც აერთიანებს. ეს საბჭო გიმნაზიის ადმინისტრაციისათვის ერთგვარი ალტერნატიული ორგანოა და, ბუნებრივია, იგი კისრულობს საერთო ხელმძღვანელობასაც — გიმნაზიის დირექტორი ლევან იანოვსკი მხოლოდ მასთან შეთანხმებით წყვეტს სასწავლებლის ყველა პრობლემას.

პრობლემებს კი თვლა არა აქვთ... მიმდინარეობს შენობის რეკონსტრუქცია-რემონტი; შესანიშნავი ესკიზები შეიმუშავეს, მაგრამ, შესაბამისი ქსოვილის უქონლობის გამო, ვერა და ვერ დაადგეს თავი გიმნაზიელთათვის ფორმის ტანსაცმლის შეკერვას; საქმე, მართალია, დიდი ენთუზიაზმით დაიწყო, მაგრამ დაბალი ანაზღაურების პირობებში თანდათან ეცემა პედაგოგთა ენთუზიაზმიც, ჭირს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა მოწვევაც. მაგრამ არის ნათელი წერტილებიც... კონტაქტები მოსკოვისა და, რაც მთავარია, უცხოეთის გიმნაზიებთან.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისს ეწვია ფინეთის ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორი ბატონი ჰასლერი. წინადადება მასთან ურთიერთობის შესახებ საკმაოდ მაცდური აღმოჩნდა. სტუმარმა მასპინძლებს გააცნო მის გიმნაზიაში დანერგილი ე. წ. „ვალდორფის მეთოდიკა“. შვეიცარიის სოფლის სკოლაში წარმატებით დანერგილი ეს მეთოდი, როგორც ჩანს, ფინელებმაც არანაკლები წარმატებით გამოიყენეს. აქ არ ვილაპარაკებთ პრინციპებზე, რომლებზეც აგებულია ეს მეთოდი. მთავარი შედეგია და ამ შედეგით მეთოდმა უკვე მოაჯადოვა ევროპა: ვალდორფის სასწავლებელში აღზრდილი ყმაწვილისათვის არ არსებობს უმუშევრობის პრობლემა! ვნახოთ, ეს გამოცდილება რა შედეგს მისცემს ჰასლერის ქართველ კოლეგებს.

ჯერჯერობით კი... „ჩვენ, ა. რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მეცხრეკლასელები, საზეიმოდ ვფიცავთ, ვიყოთ პირნათელნი და სიმართლისმოყვარულნი, ვიყოთ კეთილები; ჩვენი საზოგადოების განახლებისათვის აქტიურად ვიბრძოლოთ, მუდამ ვისწრაფოდეთ მეცნიერების მწვერვალებისაკენ“...

დიახ, ეს ფიცი მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა დაიხსომონ... რადგან „მეცნიერება და ხელოვნება ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახური, წარმოიდგინეთ, უფრო მეტადაც კი“ (ლევ ტოლსტოი).

**ნინო ხარაზიშვილი**

**ნათელა გრიგალაშვილის ფოტო**

## ვით მარგალიტი ობოლი

თედო რაზიკაშვილი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



# ფითრი

### მოთხრობა

ჩვენი საზოგადოების დღევანდელობას, დაძაბულ და რთულ ცხოვრებას განსაცვიფრებლად ეხმიანება თედო რაზიკაშვილის ეს მშვენიერი მოთხრობა. ამ ნაწარმოების გახსენება, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ დააფიქრებს ყმაწვილებს ცხოვრების ავ-კარგზე...

— მცივა, მცივა! შემიბრალე, თავშესაფარი მომეც, სიცივით ნუ მომკლავ, ხო ხედავ, რა პატარა ვარ, ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს! ბინა მომეც, ცის ქვეშ ნუ დამაგდებ! — ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხესა, რომელსაც ამაყად თავი მაღლა აეღო და ირხეოდა.

ქარი ქროდა, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა.

მსხალმა წვერებიდან გადმოხედა ფითრის მარცვალს; ეძებდა, ვინ უძახდა, რა სულიერი იყო მთხოვნელი, ათვალიერებდა, მაგრამ არავინ სჩანდა.

— გამოჩნდი, არ დამენახვები, ვიღაცა ხარ, ჭოგრიტით გეძებო? სადღაც შემძვრალხარ და წრიპინებ! — ჩამოსძახა გაჯავრებულმა მსხალმა.

ფითრის მარცვალი ზედა ტოტზე აცოცდა, ქერქს ამოეფარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იჭიმებოდა, დამინახოსო, თან მსხლის ქერქს ეკვროდა, ებღაუჭებოდა, რომ ქარს არ ჩამოეგდო ძირს.

— აქა ვარ, პატარა ვარ, დაიხარე კიდევ, რო დამინახო; ჩემი ტოლამხანაგებიდან მარტო მე გადავრჩი. გაუმაძღარმა ჩხართვმა გადაყლაპა ყველანი, მეც ნახევრად დაგლეჯილდაფლეთილმა აქ, შენ შემოგაფარე თავი. შენ თუ არ დამმალე, ის მსუნაგი მეც ჩამყლაპავს, არ გადავურჩები.

მსხალიც მოიდრიკა, აიყვანა ფითრის თესლი და შინჯვა დაუწყო.

— რა პატარა ყოფილა ეს საცოდავი! ამისი თავშესაფარი რა უნდა იყვეს, ან ამისი შეჭმა ვის რა უნდა გაუხდეს, რა მუცელს გაუძღობს? — იფიქრა მსხალმა.

— მცივა, მცივა! — წრიპინებდა ფითრის თესლი, — აქვე შევძვრები, თორემ ეს არის სული ამომივიდა.

— შეძვერ, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერ, — უთხრა გულმტკივნეულად მსხალმა. — თუ თქვენები კიდევ ნახო ვინმე გაჭირვებული, მოვიდნენ, არ დავიშურებ არც იმათთვის ბინასა. თქვენ ხომ ნაყოფს არ შემიჭამთ ჭიებივით, მუხა რო იძახდა?

— რასა ბრძანებთ, თქვე დალოცვილო, ჩვენი ჯიში ხილეულს არ ეწყობა და არც მე გიახლებით, არხეინადა ბრძანდებოდეთ. ოჰ, რა მადლობელი ვარ, რა მადლი მიყავ, ერთი სული მომარჩინე სიკვდილსა. თუ ფითრი ვარ, გადაგიხდი შენს სიკეთესა.

ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქ ქვეშ, სადაც უფრო ღრმად იყო გახეთქილი, და ზედ ცილაზედ მიეკრა.

— ოჰ, რა კარგადა ვარ. არც შემცივა, არც მომშივა! — ბუტბუტებდა ფითრი.

— ვის ელაპარაკები, მანდ ყოფნა ხომ არავინ დაგიშალა? — ჩამოსძახა მსხალმა.

— არა, გენაცვა, ნაცნობი შემხვდა, იმას გამოველაპარაკე.

— ხომ აღარა გცივა, ვერ გათბი?

— ახლა რაღა მიშავს, რაკი ჩხართვს თავი დავაღწიე და შენ შემოგეხიზნე.

ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქერქში გაატარა.

არა სციოდა, არა შშიოდა, მტერი ვერაფერს დააკლებდა და დუშმანი, ისე იყო შემძვრალ-შემალული, სინათლეც კი ვერ დაინახავდა.

რამდენიმე დღეს შიშით თავი არ გამოუყვია გარეთ, სულ ჩხართვი ელანდებოდა, ან ახლა ჩამცხებს ნისკარტს, ან ახლაო.

არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე, მაგრამ დრო გავიდა, თავის მდგომარეობას შეეჩვია. პირველმა შიშმაც გადაუარა.

ერთხელ მზის შუქი პირდაპირ თვალებში მიადგა ფითრსა. ფითრმაც ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, გაინძრა, გაიშალა ცოტათი წელში, მზეს თვალი აარიდა და ზურგში კი უცხუნა.

ძალიან ესიამოვნა მზის სტუმრობა.

— ახლა აღარა მიშავს-რა, რაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სადგომს მზემაც მოაგნო, — ფიქრობდა ფითრი. — თქვენ კი მანდ გეძინოთ, ჭია-ღუებო, ზოგს კოდალა ამოგთხრით და მძინარს ჩაგყლაპავთ, ზოგს ქარი ჩამოგყრით ძირსა. იქაც კაჭკაჭები და ჩხიკვები კაი გემოს ჩაგატანენ. მე კი აქ არხეინად ვიჯდები, პატარა, თქვენგან ათვალწუნებული ფითრი, ნახავთ, როგორ გავიზარდო და გავსუქდე! მსხალს კაი ღონიერი ფესვები აქვს, საკმაო საჭმელი გვექნება. მსხალი მომაწოდებს მიწიდან მზამზარეულს საზრდოსა. მოხმარება ჩემზე ჰკიდია,

ასე ფიქრობდა ფითრის მარცვალი, მზის შუქისაგან გახარებული.

ქარი გრიალებდა. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა.

მსხალი ნელ-ნელა ირწეოდა. ჭიაღუები ღრმა ძილში იყვნენ, გაზაფხულის მომლოდინენი. მართლაც, ბევრი მათგანი ფრინველებისა და თაგვების წერა ხდებოდა.

ფითრს კი, რაკი მზის შუქი დაინახა, რაღა დააძინებდა. ფიქრად გადაიქცა, სულ რაღაცას საზრობდა. დღეებიც გადიოდნენ და მზესაც სითბო ემატებოდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ფითრიც იცვლებოდა, მსხლის ქერქზე ტკიპასავით დაკრობილი იზრდებოდა, იბერებოდა, სულ გან-გან იწევდა. მსხლის ცილა რამდენიმე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა.

მსხალს აღარც კი ახსოვდა ფითრი, ან კი რა ყურადღების ღირსი იყო. რამდენი იმისთანა შემოხიზნული თბებოდა და ძღებოდა მსხლის ოფლითა! კიდეც რო ხსომებოდა, ბევრსაც არ ინაღვლებდა ფითრის გულისთვის.

— ვინ იცის, საწყალი სად გადავარდებოდა, რა შეჭამდაო?!

ცილაში ჩაკრობილი ფითრის თესლი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წუწნიდა ახლად გამართული ტუჩებით ისეც სიცივისაგან გამოფიტულ მსხლის ქერქს.

ეს სისხლის წოვნა კი უგრძნობელი არ დარჩა მსხალსა.

— რაღაცა მიღიტინებს, თითქო არცა მკბენს და არც მწუწნისო, — იძახოდა შეშფოთებული მსხალი და იჭროლებოდა მთელი ტანითა. — ვინ იცის, დაუდეგარი ჭიები თავშესაფარს ხვრეტენ? კოდალამ მაინც ჩამოიაროს და მომაშოროს ეს აბეზრები.

კოდალამაც რამდენჯერმე ჩამოუარა და გაარაკრაკა ნისკარტი იმის ქერქზე. დამფრთხალ ჭიებსაც ამ ხმაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდათ; შეშინებულები ხან აქ ამოჰყოფდნენ თავს, ხან იქ.

კოდალასაც სხვა არა უნდოდა რა, სტაცებდა პირს და — ყლაპ!

მსხალს კი მაინც ისევ რაღაცა უღიტინებდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოუსვენრობა ემატებოდა.

გავიდა ზამთარი, ჭია-ღუები დათბნენ, დაცოცხლდნენ, გამოძვრნენ მსხლის ქერქიდან. ფრთიანები ცის ქვეშ გაფრინდნენ; უფრთონი, ზოგი ძირს დაეშვა ნეხვის საძებნელად, ზოგი ტოტებზე გავიდა ყვავილის კვირტებში კვერცხების ჩასადებად.

ფითრი? ამან რაღა ქნა?

თუ სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღითი.

ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს — ტოტი, ფოთოლს — ფოთოლი.

გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა; გაშალა შორს თავისი ბრჭყალები. ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუზსა, წუწნიდა, როგორც ბალღი შაქარსა, ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა.

მსხალი კი თანდათან იმშეოდა.

ახლა კი მწვავედ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი იჯდა. მჭამელივით ჭამდა და ღლეჯდა რაღაცა, ჩხვლეტდა და სწვავდა შანთივითა.

— ვინა ხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ? აღარ მომშორდები?! — ეკითხებოდა ფითრს. — თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა, სხვებიც იყვნენ ჩემ ქერქ ქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდნენ თავის გზაზე. მგონი, შენც ისე უნდა ჰქნა, სტუმრის წესი აასრულო. თუ მტერი ხარ, გამაგებინე. გამეცალე, რას ჩამციებიხარ?!

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა ფითრმა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმითა და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა.

— სად უნდა წავიდეთ, ვერა ჰხედავ, რამდენი ვართ?!. ჩვენი სამშობლო ეს არის. აბა, გაიხედე აიმ ტოტებზე.

მსხალს თვალი დარჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა. აუარებელს წვრილსა და მსხვილს ფითრს ამოეყოთ თავები მსხლის ტოტების ქერქიდან და გაჯეჯილებულიყვნენ.

დაფიქრდა მსხალი, თითქო ახლა-



ლა იგრძნოო, მთელმა ტანმა დაუწყო ქავილი და გამა.

— არ მომშორდებით მაშა, ვილაცები მოთრეულხართ ამ ჩემ ტოტებზე! — დაუყვირა მსხალმა. — თქვენი ნებით წადით, თორემ სულ ძირს ჩაგყრით და ირემს შეგაჭმევთ.

ყელმოღერებული ნაიალაღარი ხარ-ირემი ამაყად და მსუბუქად ატრიალებდა მრავალშტოვან რქებს. აქა-იქ ჭგლეჯდა და ჭყლაპავდა ხეებიდან ხავსსა. ამ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა. ბალს გარს უვლიდა და ხეებსა ჭკორტნიდა. მსხლის ხმაურობაზე თვალი მაღლა დარჩა. იქნება ჩამოყაროს რამეო. ფითრები არხეინად ისხდნენ და ყურსაც არ იბერტყდნენ.

გაბრაზებული მსხალი კი ძირიანად ირყეოდა, უნდოდა მათი ჩამოყრა.

ირემი კი ნაღვლიანად იღიმებოდა.

ფითრი, თითქო ჯიბრზე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სწოვდა მსხალსა. ახლა აღარ იმალებოდა და აღარც თავს იკატუნებდა. ისე იყო გასუქებულ-გათამამებული, რომ ყველა გაიგებდა, საიდამაც მოჰქონდა საზრდო. ფოცხვერივით აჯდა კისერზე და წუწნიდა, რაც შეეძლო.

მიდიოდა ხანი და მსხალს უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე.

ჯერ შუახნისაც არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა. დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა. ერთი ფრჩხილის ტოლი ნაზარდიც აღარ უჩანდა...

სასოწარკვეთილი, ღონე-მიხდილი, აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა მშველელს. არავინ შველოდა.

— ქარო! ქარო! — შეევედრა ქარს. — ერთი შენებურად დაუქროლე და ეს ფითრები მომაშორე, ხო ხედავ, ვკვდები.

— როგორ მოგაშორო, შე საცოდაო, ძირიან თუ მოგტეხ, თორემ ეგენი შენ არ მოგშორდებიან, აბა რა გიყო, რა გიწამლო?!

— ...ვაი, ვაი, ფითრო, აღარ გახსოვს, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ როგორი იყავ, როცა მსხალს თავშესაფარს თხოვდი? ახლა კი მსხალმა შენ უნდა გთხოვოს, რომ სიცოცხლე აჩუქო იმ საბრალოსა! აღარც ქარი გაშინებს. ისიც შენ გემსახურება. ქარსა და ჩხართვს მრავლად გააქვს შენი თესლი და ირგვლივ ხეებზე ბდებს. სად არ მოუკალათნია ფითრსა, სად არ აცოცებულა და არ გამოჭიმულა!

მსხალზე, ვაშლზე, თელაზე, იფანზე, რცხილაზე, მურყანზე, კაკალზედაც კი აქა-იქ ამომძვრალა; თხილზე, ნეკერჩხალზე, ვერხვზე, მუხის ტოტებშიაც კი ამოუყვია თავი. სად არ არის, სად არ გაჩენილა! მაგრამ ასე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულა, როგორც მსხალზე. იმისი ნაზი ქერქიდან უფრო ადვილად და გაუჭირვებლად წუწნიდა საზრდოსა, ვიდრე მუხის გაქვავებულ-გაშეშებულ ქერქიდან. არც დიდი დღე აქვს მუხაზე ამოსულსა. ცოტა ხანს ილორლიალებს, მორჩება მერე და მოისპობა, აგრეთვე კაკალზე. ბრალი მსხლისა.

გავიდა ხანი. კოხტა, თავმომწონე მსხალი უდროოდ დაბერდა, ასი წლის ბებერივით მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმიჭა, დაეღრიჯა ქერქი, დაუსკდა კანი. ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც, ნახევრად ხმელი, აქა-იქლა გაეშვირა. საცოდავი შესახედი იყო.

„ვაი შენი ბრალი, შე საწყალო! ხილს შენ აღარ ისხამ და შტო შენ აღარ გეზრდება!"

წლის ნაზარდი სრულებით აღარ ჰქონდა, სულ უკან-უკან მიდიოდა.

— რა დაემართა ამ მსხალს! — იძახოდა პატრონი. — სანამ პატარა იყო, მსხმოიარებით ტოტები ემტვრეოდა, ამის ხილი პირში დნებოდა. ახლა კი მაგის ქეციან ნაყოფზე კაცს შესახედავადაც აღარ მიუვა გული... უნდა მოვჭრა, მეტი ღონე არ არის! ბარემ მოსაჭრელი ხილი არ არის, ამისთანა ჯიშის მსხალი არსად მეგულება. ვინც კი გემოთინახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები; ალბად ბარაქა და იღბალი თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადააგვარა ამისთანა ბედაური მსხალი.

— კაცო, და, ეს ფითრი რო შესხმია, — უთხრა მეზობელმა პატრონს, — რატო არ უპატრონე, მაგაზე მეტად რა აფუჭებს ხეხილსა? ვისაც კი თავისი ხეხილი უყვარს და ეზოგება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? მოაშორე, არ იქნება, ისევ არ გამობრუნდეს, — ურჩია მეზობელმა.

— როგორ მოვაშორო, ერთი მოვგლიჯო, იმის ალაგზე სხვა ამოვა, უთხრა ფიდონამ. — რა ეშველება, რა ვუყო?

— გადაკაფე დაზიანებული ფითრიანი ტოტები, სხვა ნორჩს აიყრის და გადახალისდება, ისევ ისეთ ხილს მოისხამს, როგორც წინათ, — ურჩია მეზობელმა.

— შენ პირს შაქარი, თუ კი მაგის მეტი არა უნდა-რა, გადაკაფვა რა დიდი საქმეა, თუკი ისევ აიყრის. ვაითუ გახმეს და აღარა აიყაროს



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. რა მომაგონებდა, ძმაო, თუ ფითრს მაგოდენა ნავნების მოტანა შეეძლო!

— ვაი, შენ, ჩემო თავო! — წამოიძახა გაბრაზებულმა მეზობელმა. — მოიტა აქ ე ცული, თუ შენ არ იცი, როგორ მოიქეცე!

— კაპ, კუპ, კაპ, კუპ! — მოისმოდა ცოტა ხანს შემდეგ ფიდონას ბაღიდან ცულის ხმაურობა.

მსხალს შიშით და ელდით თავისი დაემართა. ღაპა-ღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

— კაპ, კუპ, კაპ, კუპ! — ისმოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი.

ოჰ, რა შეშინებული იყო მსხალი! რა ტკივილსა გრძნობდა, თითო ცულის დაკვრაზე თითო ლიტრა ხორცი ადნებოდა.

ტოტებს რო ჭრა და მორვა დაუწყეს, იმას კინაღამ სული ამოხდა.

— ახლა კი დაითვალა ჩემი დღეებიო, — ფიქრობდა მსხალი. — აღარაფერი მიხსნის!

დახუჭა თვალები, თითქო არ უნდა სიკვდილის თვალით დანახვაო. თავის თავი მკვდრად მიაჩნდა.

მაგრამ აგერ, ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან რაღაცა ხმაურობა და დუდუნი მოესმა, რომელსაც თანდათან უფრო და უფრო არკვევდა.

— ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდებით, ჩვენამდე ჯერ სიკვდილს არ მოუღწევია, სასოებას ნუ ჰკარგავო.

იძახოდნენ თურმე ფესვები. ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვნენ. თავისთვის ჩუმად ბნელს, უმზეო, თვალჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისთვის უხვს საჭმელ-საზრდოს უმზადებდნენ და აწვდიდნენ.

სამ წელს შემდეგ მომიხდა ჩამოვლა იმ სოფელზე. ფიდონას ხუთიექვსი ბალღი სიამოვნებით შესცქეროდა ქარვასავით ყვითელ დაშაქრებულ მსხლებს, ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამთო, ან ახლაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსი, რომელიც ბებია-ბაბუებს უყვარდათ



ჭალადიდელი

## დედის დარიგება

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანადა რომ მომამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამაგზავნეს.

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

მხოლოდ ეს მახსოვს, გამომყვა დედა
და მითხრა ტკბილად: „შვილო, ნუ სტირი;
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?

გიყვარდეს სწავლა, გულ-მოდგინება,
შრომა, ჯაფა ნუ დაგეზარება,
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა
შენსა ქვეყანას გამოადგება.

იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,
დიდი განძია სწავლის შეძენა;
მაგრამ ამას გთხოვ, ყველაზედ უფრო,
გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.

მერწმუნე, შვილო, გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“.

ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა,
და ეს მას აქეთ დამამახსოვრდა,
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალიდგან ცრემლსა ფრქვევა გაჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რედაქციისაგან:

ჩვენი ჟურნალის მკითხველი შეამჩნევდა, რომ „ნაკადულის“ წინამდებარე ნომერი ერთგვარად სახეშეცვლილად გამოიყურება. რედაქციამ გადაწყვიტა, ფეხი აუწყოს ცხოვრების ახალ რიტმს, უფრო თამამი და თავისუფალი პუბლიკაციებით შეავსოს ჟურნალის ფურცლები. თუმცა, ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან შეხების წერტილები ნაკლებად გვექნება, რადგან ვთვლით, რომ მოსწავლეებს, ვისთვისაც ჩვენი ჟურნალი კეთდება, პოლიტიკასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ. მათი უპირველესი ამოცანა ცოდნის მიღება, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება, მომავალი პროფესიის დაუფლება და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაა.

ჩვენი სამშობლოსათვის ამ საჭირო და აუცილებელ საქმეში შეძლებისდაგვარად თანადგომა მიგვაჩნია სწორედ „ნაკადულის“ მისიად.

ჩვენ ცდას არ დავაკლებთ და, სხვა მხრივ, ალბათ, ღმერთი შეგვეწევა...

ჯონათან რაუჭი:

## საზოგადოებას ესაჭიროება ბავშვები

**ამერიკელებს** ურჩევნიათ, თავიანთ ბავშვებში დაინახონ არა პრაქტიკული შემოსავლის, არამედ ცხოვრებისეული სიამისა და ბედნიერების წყარო.

ეს, თუ დავუფიქრდებით, ძალიან საინტერესო ამბავია. რამდენიმე თაობის წინ ხომ ადამიანები შვილებს მხოლოდ იმისთვის აჩენდნენ, რომ ეს აუცილებელი იყო. მაშინ ყველაფერი უბრალოდ ხდებოდა: — ხალხი, უმთავრესად, მიწათმოქმედებით იყო დაკავებული და ყოველი მუშახელი დიდი შეღავათი იყო მეურნეობაში. ბავშვები მხარში ედგნენ მშობლებს, უმსუბუქებდნენ მათ გაჭირვებას სიბერის წლებში...

დღეს ამერიკაში ბავშვების აღზრდა მშობლებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ: ისინი იძულებული არიან, მსხვერპლად გაიღონ ამ საქმისათვის დრო, პროფესიული კარიერა, უარი თქვან სასიამოვნო გართობაზე და, რაც მთავარია, დახარჯონ ფული. ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პრინსტონის უნივერსიტეტში ტომას ესპენშეიდმა გამოიანგარიშა, რომ თითოეული ბავშვის შენახვა 18 წლის ასაკამდე საშუალო შეძლების მქონე ამერიკულ ორშვილიან ოჯახს დაახლოებით 100.000 დოლარი უჯდება. ახლა ბევრ ამერიკელს საერთოდ არ სურს შვილის გაჩენა და მათაც, ვინც ისურვა, ერთი-ორი თუ ჰყავთ. 30 წლის წინანდელ „ბეიბი-ბუმის“ პერიოდთან შედარებით შობადობა ორჯერ შემცირდა. 80-იან წლებში ბავშვებს შორის სიღარიბის კოეფიციენტი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე 1965 წლიდან მოყოლებული მთელი პერიოდის განმავლობაში. ასე, მაგალითად, 1987 წელს ყოველი მეხუთე ამერიკელი ბავშვი ცხოვრობდა ღარიბ ოჯახში და ეს ხდებოდა ჯანმრთელი ეკონომიკის პირობებში. იმავე წელს ზანგ ბავშვებს შორის ღარიბად ცხოვრობდა 46 პროცენტი. დღეისათვის კი ნიუ-იორკში ბავშვების 38 პროცენტს საგრძნობლად უჭირს.

შემთხვევით კი არ შემოუთავაზებია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ევროპული მეთოდი მრავალშვილიანი ოჯახების ხელშესაწყობად! ლაპარაკია ღარიბი ოჯახებისათვის ფედერალური დახმარების გამოყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ ბავშვზე სახელმწიფო დახმარების გაცემას. თუმცა ეს თანხა მცირეა და, ამიტომაც, ლიბერალთა მხრიდან დაცინვასაც იწვევს, მაგრამ კრიტიკოსები აქ მთავარს ვერ ამჩნევენ: ბუშის მიერ ბავშვების სასარგებლოდ შემოთავაზებული შეღავათები მომავალ ათწლეულებში, ამერიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ, მეტად ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯია.

„ეროვნული“ ოჯახი, რომელმაც ბავშვების რაოდენობა შეამცირა, მომავალი საუკუნის დასაწყისში აღმოაჩენს, რომ მისი შრომითი რეზერვები უკვე აღარ იზრდება. ძველ დროსთან შედარებით მუშახელის მოზღვავების დეფიციტი უკვე შეინიშნება.

ეკონომისტი ფრანკ ლევი, მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი, ამბობს:



## დი სნაიდერი

# თვით-გადარჩენის კურსი მოზარდ-თათვის

„ნაკადულის“ დღევანდელი ნომრიდან ვიწყებთ ფრაგმენტების ბეჭდვას ხევი მეტალ-როკის ვარსკვლავის, დი სნაიდერის წიგნიდან „თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის“. ვფიქრობთ, ეს პუბლიკაცია ძალიან დაეხმარება ჩვენს მოზარდებს მრავალი წინააღმდეგობის უმტკივნეულოდ გადალახვაში.

„ერთი თაობა მიდის და სხვა თაობა მოდის... და არაფერია ახალი მზისქვეშეთში“.
ეკლესიასტე, თ. 1, ლექსი IX.

წიგნის დასაწყისში ავტორი მადლობას უხდის ყველას, ვინც აბრაზებდა, აბუჩად იგდებდა და, როგორც რეგვენს, ისე ექცეოდა ბავშვობაში. ვინაიდან, თუ არა ესენი, დი სნაიდერი ვერასდროს შესძლებდა ამ წიგნის დაწერას.

### მაშ ასე, მოდის სიყმაწვილე

მე არ მინდოდა ამის გაკეთება.

ვინ ვარ მე ისეთი, რომ რჩევა მივცე მოზარდებს, სიჭაბუკის წლებში როგორ იცხოვრონ. თუკი ჩემი საკუთარი სიჭაბუკე ნაკლებად გამოდგება სამაგალითოდ და, თუ დამიჯერებთ, შემიძლია თქმა, რომ იგი არ იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი. სიმართლე რომ ვთქვა, მე ვიყავი საკმაოდ საზიზღარი ტიპი იმ უსახელო ჭაბუკობის წლებში.

მაგრამ სწორედ ამიტომ მე მმართებს ამ საქმის გაკეთება. ჩვენ, საზიზღარ ტიპებს, შეგვიძლია გამჭრიახნი ვიყოთ, როდესაც საქმე მოწიფულობის პერიოდს ეხება. იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა ძალიან ცოტა მეგობარი ბიჭი და უფრო ცოტა — მეგობარი გოგონა. ამდენად, ანალიზისათვის უფრო მეტი დრო გვრჩებოდა. ჩანს, რაც უფრო

## სიჭაბუკის ლაბირინთები

საზიზღარი ტიპი იყავი, მით უფრო ზუსტია შენი ანალიზი. მე კი ძალიან საზიზღარი ტიპი ვიყავი (ამასთან — გულღვარძლიანიც).

„თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის“ არ არის გზისგამკვლევი, რომელიც რაღაც ჯადოსნური გზით სიყრმიდან მოწიფულობაში გაგიყვანს. მე მხოლოდ ფაქტების კრებულსა და ჩემს შეხედულებებს გთავაზობთ დავაჟკაცების შესახებ და, მართალია, ყველა სიტუაცია შენთვის მისაღები არ იქნება, მაგრამ მზად ვარ დავიფიცო, რომ საკმაოდ დიდი რიცხვი პრობლემებისა, რომელთა წინაშეც სახით ვიდექი, და განცდები, რომელთაც ამ დროს განვიცდიდი, შენთვისაც გასაგები იქნება. შესაძლებელია, ჩემი გამოცდილების პრიზმაში შენ შეძლო, უკეთესად შეათვალიერო შენი თავი და ისინი, ვინც გარს გახვევია. ვიმედოვნებ, შენ იმ აზრამდე მიხვალ, რომ შეგიძლია შენი ცხოვრება შეცვალო (თუ ის არ მოგწონს)...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მთარგმნელები
მაია ტოგი და ნანა მენაბდე.

---

— ორი რამაა აუცილებელი საზოგადოებისათვის, რომელიც თავის მომავალზე ფიქრობს: ყურადღება დაუთმოს მატერიალური დოვლათის (მანქანების, მექანიზმების, დაწესებულებების, გზებისა და სხვ.) რაოდენობასა და ხარისხს და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა რაოდენობასა და ხარისხს. რა თქმა უნდა, შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცეს ამ ორ ფაქტორს და ასეთნაირად ამაღლდეს დღევანდელ მოთხოვნილებათა დონე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ამისათვის მომავალში აუცილებლად მოგვეგება საზღაური.

ბევრი ქვეყანა, უკვე დიდი ხანია, მონდომებით ზრუნავს მოზარდი თაობის რაოდენობრივსა და ხარისხობრივ ზრდაზე. განვითარებულ ქვეყნებს შორის მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებია გამონაკლისი, რომელსაც მყარი და თანამიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკა არ გააჩნია.

ისევ ტომას ესპენშეიდს მოვუსმინოთ:

— მცირეხნიან ეფექტს შეიძლება მიაღწიო, თუ გაზრდი შობადობას დროის მონაკვეთში. ევროპული პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს შობადობის გაზრდაზე ზეგავლენას, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ რამდენჯერმე არ გაზრდის ამ საქმისათვის გამოყოფილ თანხებს.

ამერიკაში კი ამ საკითხს სხვაგვარად უდგებიან. აქ ყოველთვის ითვლებოდა, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის გაზრდა პირადი საქმეა და არა საზოგადოებრივი. მაგრამ ამ ბოლო დროს უკვე გაისმა ხმები შობადობის გაზრდის აუცილებლობაზე. ვაშინგტონელი სწავლული ბენ უოტენბერგი აცხადებს, რომ, აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს პროგნოზით, ქვეყნის მოსახლეობის ზრდა მომავალი საუკუნის 30-იანი წლებისათვის საერთოდ შეწყდება.

ამერიკის მთავარი პრობლემა ორი სიტყვით შეიძლება გამოვხატოთო, — ამბობს უოტენბერგი, — ესაა ბავშვთა სიღარიბე. პრობლემა ის არის, რომ აუცილებელია დავეხმაროთ ახალგაზრდა მშობლებს, რომლებიც შვილის გაჩენას აპირებენ, მაგრამ არ გააჩნიათ საამისო პირობები. უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი მთავრობა დაკავებულია მდიდართა ქონების გადანაწილებით ღარიბებზე, პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს უფრო და უფრო მიუღებელი ხდება. ხომ არ აჯობებდა, მიგვემართა მეორე პრინციპისათვის: გადანაწილება არა მდიდრებისაგან ღარიბებზე, არამედ უშვილო ოჯახებისაგან — შვილიანებზე...

მაგრამ ახალი მეთოდის შემოღებას უნდა მოჰყვეს ერთი წინააღმდეგობა. მშობლები ბავშვების აღზრდისათვის მიიღებენ სახელმწიფოსაგან დახმარებას, შემდეგ კი, როცა მათი შვილები ზრდასრულ ასაკს მიაღწევენ, მათ უნდა იხადონ უზარმაზარი გადასახადები, რათა შემდეგი თაობის მშობლებს დაეხმარონ. ერთიცაა კიდევ — უშვილო მოქალაქეებმა მთელი ცხოვრება უნდა იხადონ ეს დიდი გადასახადები.

საქმე ისაა, მოიძებნოს გადანაწილების ისეთი ვარიანტი, რომ საზოგადოებამ არ იზარალოს მთლიანობაში.

(ჟურნალიდან „ამერიკა“).



# აღდგომის დღესასწაული საქართველოში

გიორგი გოცირიძე

— ქრისტე აღსდგაო, — ეტყვიან შეხვედრისას ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომის დღეს.
— ჭეშმარიტადო, — არის პასუხი.

**აღდგომა** ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულია. მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში როგორი მოუთმენლობით ველოდით ამ დღის მოსვლას, იგი ხომ, იმავდროულად, გაზაფხულის დადგომის მაუწყებელიც იყო. შაბათ ღამეს ეკლესიაში „ლიტანიობაზე“ (ზიარების წირვაზე) მივდიოდით, სადაც აუარებელი ხალხი იყრიდა თავს, თუმცა კი გვიშლიდნენ, რადგან მაშინ რელიგიური ყველაფერი იკრძალებოდა. აღდგომის კვირა განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდათ წითლად შეღებილი კვერცხებისა და გემრიელი „პასკების“ გამო. როგორც კი დილა გათენდებოდა, ახალგაზრდებს ქუჩისაკენ მიუწევდათ გული, ერთმანეთისათვის ლამაზ-ლამაზი, საგანგებოდ შერჩეული წითელი კვერცხები რომ „დაეჭიდებინათ“, მათ სიმაგრეს კი კბილით სინჯავდნენ. ჯერ თავით დააჭიდებდნენ კვერცხებს, მერე კი ბოლოებით; იყო სიცილი და მხიარულება.

ოჯახებში ამ დროს სააღდგომო ტაბლა მზადდებოდა, იგი მეორე დღეს (ორშაბათს) სასაფლაოზე უნდა წაეღოთ, რადგან მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი. ზედ მრავლად მოხარშულ ქათამს, ქადა-ნამცხვრებსა და რამდენიმე ცალ კვერცხს დააწყობდნენ, ხელადით ღვინოს დადგამდნენ, სანთლებს აანთებდნენ, პურს გატეხდნენ, საფლავის გულზე კვერცხს გადააგორებდნენ და ერთი ჭიქა ღვინით მკვდრის შენდობას იტყოდნენ (ისინი, ვისაც საფლავზე წასვლა არ შეეძლო, ამ წესის შესრულებას სხვას, ვინმე ახლობელს სთხოვდნენ). ამ დღეს მიცვალებულის საფლავზე მრავალი ჭირისუფალი, ნათესავ-მოკეთე იყრიდა თავს. შორიდანაც მოდიოდნენ, რათა წელიწადში ერთხელ მაინც პატივი ეცათ გარდაცვლილთათვის. დასხდებოდნენ, მოიგონებდნენ, სიტყვასა და პურ-ღვინოს შეაწევდნენ. მერე ჯამ-ჭურჭელს აალაგებდნენ, იქაურობას გაასუფთავებდნენ და საკურთხის ნაწილს მოხეტიალე ღარიბ-ღატაკთ დაურიგებდნენ. „მკვდრისათვის მადლიაო“, — იტყოდნენ.

ძველად ეს რიტუალი მეტად წმინდა, სისადავით გამორჩეული სანახაობა იყო. აქ არ შეიძლებოდა ღრეობა, დათრობა და უსიამოვნო აყალმაყალი, რაც, როგორც მოხუცები გადმოგვცემენ, უპირველესად მკვდარს შეურაცხჰყოფდა. ეს იყო მიცვალებულისადმი გაწეული წმიდა სამსახური, რომელიც იმავდროულად ახლობელთა „თემობის“ ურთიერთკავშირის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა.

გარდა აღნიშნული რიტუალისა, სააღდგომო დღესასწაულში კიდევ ერთი საინტერესო ეთნოგრაფიული მომენტი იკვეთება. ეს არის მარხვის დაცვის, მისი დასასრულისა და ხსნილის დასაწყისის ხალხური ტრადიცია, რაც შორეული წარსულიდან მომდინარეობს და რომელშიაც არა მარტო უფროსები, არამედ ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. ამ თვალსაზრისით ერთ წეს-ჩვეულებას გავიხსენებ:

ტრადიციისამებრ, როცა ყველიერი დამთავრდებოდა და დიდი მარხვა დაიწყებოდა, ოჯახის დიასახლისი ბავშვებისათვის წივის (ნაკელის), ნაცრისა და ტალახის ნაზავისაგან მრგვალ, ბურთისმაგვარ გუნდას გამოიყვანდა, მასზე ქათმის, ინდაურის ან ბატის ფრთებს (7 ფრთას) დაარჭობდა და თავში დამაგრებული თოკით — კონწიალათი (მარყუჟით) ჭერხოზე ჩამოჰკიდებდა. ამას „ბო-

ბოლას“ ან „მარხვისთვალს“ უწოდებდნენ. ყოველი კვირის დასასრულს ბობოლადან ერთ ფრთას ამოგლეჯდნენ და ბუხარში შეაგდებდნენ. რასაც ბავშვები, რიგრიგობით, სიამოვნებით ასრულებდნენ. 7 კვირის შემდეგ (დიდი მარხვა ხომ 7 კვირას გრძელდებოდა) ბობოლას ფრთა აღარ შერჩებოდა. აღდგომა დილით მას სიცილ-თამაშით, ფეხით გაიგდებდნენ წინ, ეზოს გარეთ გაიტანდნენ და სადმე ხევში გადაუძახებდნენ, ქვებითა და კეტებით დაამტვრევდნენ, ჩაქოლავდნენ. ამის შემდეგ შინ სიმღერით მიბრუნდებოდნენ:

„მარხვა გაჩანჩალდაო,
ხსნილი კი ჩვენ დაგვრჩაო“,

ამ სიმღერიდანაც კარგად ჩანს, რომ ბავშვებს არ უყვარდათ „ბობოლა“. იგი ხომ მარხვის დაცვას მოითხოვდა და, უფროსებიც, ხშირად, როცა პატარები ხორციეულის დანახვაზე ატირდებოდნენ, „იჯუჩეთ, ბობოლა გიყურებთო“, — შეაშინებდნენ. ასე რომ, აღდგომა ყველასათვის სიხარულის, ბედნიერების, ნეტარების მომნიჭებელი დღეობა იყო. აღდგომას სულიერად განწმენდილნი, წმინდა ზიარებამიღებული ხვდებოდნენ. ამდენად, ეს დღე რელიგიური რწმენისადმი მორჩილებასთან ერთად ხალხური ტრადიციებისადმი პატივისცემასაც აძლიერებდა. ამას დიდად უწყობდა ხელს ქრისტიანული ეკლესია, რომელიც აღდგომის დღესასწაულს, თავის მხრივ, ჯვარცმული მაცხოვრის — იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგენის ლეგენდარულ ისტორიას უკავშირებდა. გავიხსენოთ ეს ლეგენდაც:

იუდასაგან გაყიდული და ებრაელ მღვდელმთავართაგან შერისხული ქრისტე აწამეს, ჯვარს აცვეს და მიწას მიაბარეს.

წმინდა წიგნების თანახმად, მისმა მტრებმა საფლავი სინედრიონის ბეჭდით დაბეჭდეს და მცველებიც კი მიუჩინეს, რადგან ახსოვდათ მაცხოვრის სიტყვები — „აღვდგებიო მე მესამე დღეს“.

მართლაც, მესამე ღამეს (გათენიისას, კვირა დღე რომ დგებოდა) უეცრად მიწა იძრაო თითქოს; მოფრენილა თეთრით მოსილი ანგელოზი და დამჯდარა ქრისტეს საფლავზე. შემდეგ მან გადააგორაო დიდი ქვის ლოდი (საფლავის ქვა) და ქრისტეც გამოსულა საფლავიდან. ამის შემყურე მცველები შეშინებულან და გოგნებულნი პირქვე დამხობილან. ერთ ხანს ასე ყოფილან, მერე კი, როცა გონს მოსულან, გაქცეულან ქალაქში და მღვდელმთავრისათვის შეუტყობინებიათ მომხდარი სასწაული. იგი ჯერ არავის დაუჯერებია, მაგრამ შემდეგ დარწმუნებულან, რადგან ქრისტეს გამოცხადება დაუწყია. ჯერ წმინდა დედებს — მარიამ მაგდალინელს, ელენესა და სხვებს, შემდეგ კი თავის მოწაფეებს გამოცხადებია და მიუმართავს მათთვის:









„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველი წარმართი და ნათელ-მირონი სცხეთ შათ სხეულს მამისათა, ძისათა და სულითა წმიდისა და აჰა, ესე რა მე თქვენთანა ვარ ყოველ დღეთა, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“.

ამის მერე დაუწყია ქრისტეს ცად ამაღლება.

სიმბოლურია აღდგომის დღესასწაულში კვერცხის მონაწილეობაც.

კვერცხი, ხალხური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ნაყოფიერების, სიმრთელის, სიჯანსაღის გამოხატულებაა, ზოგიერთ ქვეყანაში კვერცხს ჭერზე ან დედაბოძზე კიდებენ ოჯახის გამრავლების, ნაყოფიერებისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, ავი თვალისაგან დასაცავად. ჩვენში კი კვერცხს მცირეწლოვან ბავშვს ჩაუდებენ ხელში: კვერცხივით მაგარი, მრთელი და ძლიერი გაიზარდეო. კვერცხი ბევრ სხვა რიტუალშიც მონაწილეობს, მაგრამ მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. რაც შეეხება წითელ ფერს, იგი, მართალია, ქრისტიანული მრწამსის მიხედვით, ქრისტეს სისხლის ფერთანაა გაიგივებული (კვერცხს პარასკევს, ქრისტეს ჯვარცმის დღეს ღებავენ და, ამიტომაც, ამ უკანასკნელს წითელ პარასკევს უწოდებენ), მაგრამ, ამას გარდა, ეს ფერი, ხალხური რწმენით, ბუნების აღორძინების ფერიცაა.

ახლა ორიოდ სიტყვით სააღდგომო ნამცხვრების და, მათ შორის, ე. წ. „პასკის“ შესახებ. „პასკა“, როგორც საფუვრიანი ნამცხვარი, ამოსული ცომის გამო, სიმბოლურად გამოხატავს აღდგომის, აღორძინების აზრს. ტერმინოლოგიურად კი, ჩვენი ვარაუდით, იგი ძველებრაული „პასექის“ დღესასწაულის სახელწოდებიდან უნდა დამკვიდრებულიყო, უპირატესად — რუსულ ენაში. საქართველოში კი „პასკის“ ნაცვლად ნაზუქს აცხობდნენ.

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

# ორი მოსაზრება სამყაროს



## დიდი აფეთქების თეორია

არსებობს რამდენიმე კოსმოლოგიური თეორია (კოსმოლოგია სამყაროს ევოლუციის შემსწავლელი მეცნიერებაა).

ერთი მათგანია სტაციონარული (მყარი) სამყაროს თეორია, რომლის თანახმადაც სამყარო აბსოლუტურად ერთნაირია სივრცის ყოველ წერტილში და დროის ნებისმიერ მომენტში, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი მუდამ ისეთი იყო, როგორიც ამჟამადაა. ეს თეორია 1965 წლამდე ბატონობდა და მისი შემოქმედნი იყვნენ ამერიკელი მეცნიერები გ. ბონდი, თ. გოლდი და ფ. ჰოილი.

1965 წლიდან მთავარ კოსმოლოგიურ თეორიად დიდი აფეთქების თეორია ითვლება. ამ თეორიის თანახმად, ოდესღაც სამყარო უსასრულოდ მკვრივი და ცხელი იყო, იმდენად მკვრივი, რომ ახლანდელ სამყაროსთან შედარებით შეიძლება წერტილად მივიჩნიოთ. 20 მილიარდი წლის წინათ, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, მოხდა დიდი აფეთქება და სამყარომ გაფართოება დაიწყო. იგი ახლაც ფართოვდება ყველა მიმართულებით. ყოველი მილიონი სინათლის წლის (სინათლის სიჩქარე წამში 300.000 კმ-ია; სინათლის წელი არის მანძილი, რომელსაც სინათლე ერთი წლის განმავლობაში გადის) განმავლობაში სამყაროს გაფართოების სიჩქარე 15 კმ/წმ-ით მატულობს.

თეორია ვერ უპასუხებს კითხვას, რა ხდებოდა სამყაროში დიდი აფეთქების წინ, მაგრამ ზუსტად იცის, რა მოხდა აფეთქების მერე.

რამდენიმე მილიწამის შემდეგ დაიწყო ბირთვული აფეთქებები. თავისუფალი ნეიტრონები დაიშალა პროტონებად და ელექტრონებად, გაჩნდა ნეიტრინო და ანტინეიტრინო. ერთი წუთის შემდეგ თერმობირთვული სინთეზის შედეგად წარმოიქმნა ჰელიუმი და დეიტერიუმი (მძიმე წყალი). ათი ათასი წლის შემდეგ სამყაროს მთავარი კომპონენტი ხდება ნივთიერება. 1-2 მილიარდი წელიც და, იწყება გალაქტიკათა წარმოქმნა; 5 მილიარდი წელი — პირველი ვარსკვლავები; 15,3 მილიარდი წელი — იწყება ჩვენი მზის ჩამოყალიბება; 15,4 მილიარდი წელი — წარმოიქმნა პლანეტები; 17 მილიარდი წელი — ჩაისახა მიკროორგანიზმები; 18 მილიარდი წელი — წარმოიქმნა ატმოსფერო; 19,55 მილიარდი წელი — პირველი მცენარეულობა ხმელეთზე; 19,85 მილიარდი წელი — დინოზავრების ეპოქა; 19,95 მილიარდი წელი — გაჩნდნენ პირველი ძუძუმწოვრები; 20,0 მილიარდი წელი — გაჩნდა ადამიანი (2 მილიონი წლის წინათ).

გაფართოების კვალობაზე თანდათანობით კლებულობს სამყაროს ტემპერატურა, დაახლოებით ისევე, როგორც გაფართოებადი აირი ცივდება ხოლმე.

უსასრულოა თუ არა ეს პროცესი — გაფართოება და ტემპერატურის დაცემა? მეცნიერთა ერთი ნაწილის ფიქრით, სამყაროს გაფართოებას დასასრული არ გააჩნია. მეორე ნაწილის ვარაუდით კი დადგება მომენტი, როცა გაფართოება შეწყდება, დაიწყება კუმშვა, ისევ მოიმატებს ტემპერატურა და სამყაროს მთელი ნივთიერება ისეთსავე წერ-



ტილად იქცევა, როგორიც დიდი აფეთქების წამს იყო. ამას ისევ აფეთქება მოჰყვება და ასე შემდეგ...

ამ ვარაუდების შემოწმებასა და მათი სამართლიანობის დადგენას ალბათ ხანგრძლივი დრო და კვლევა დასჭირდება.

ჯ. სილკის წიგნიდან
„დიდი აფეთქება"

### სტივენ ჰოკინგის თეორია

ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვული სტივენ ჰოკინგი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო



და გამოჩენილი მეცნიერია. კოლეგებს იგი თანამედროვეობის გამორჩეულად ორიგინალურ და ნიჭიერ მოაზროვნედ მიაჩნიათ. იგი ცნობილია, როგორც დროის ბუნების შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სამყაროს წარმოქმნა-დაღუპვის შესახებ ახალი წარმოდგენების დამკვიდრებაში. ოცი წელი ისწრაფოდა ამერიკელი მეცნიერი, ეპასუხა კითხვაზე, თუ რა ემართება მატერიას სინგულარობასთან, უსასრულო სიმკვრივისა და ნულოვანი მოცულობის წერტილთან მიმართებაში, რომელიც, ფარდობითობის თეორიის თანახმად, იმყოფება შავი ხვრელის ცენტრში და რომლისგანაც წარმოიშვა სამყარო.

70-იან წლებში ჰოკინგმა უშუალოდ შავი ხვრელების მოქმედების შესწავლას მოჰკიდა ხელი და დაადგინა, რომ ფარდობითობის ზოგად თეორიას, თერმოდინამიკასა და შავი ხვრელების აღწერისათვის აუცილებელ კვანტურ თეორიას შორის ღრმა კავშირი არსებობს. შედეგად მან შეძლო, ერთად მოეყარა თავი XIX და XX საუკუნეების ფიზიკოსთა უდიდესი მიღწევებისათვის.

ჰოკინგი ასე ფიქრობდა: შავ ხვრელს მოვლენათა ჰორიზონტად წოდებული მკაფიო „საზღვარი" აქვს. ყველაფერი, რაც კი ჰორიზონტის შიგნით მდებარეობს, ერთგვარად, თითქოს მახეშია მოქცეული, ხოლო გამოსასვლელი ამ მახიდან არსებობს. ყველაფერს, რაც კი გარეთ მდებარეობს, რაკიღა საკმარისი სიჩქარე აქვს, შეუძლია დაუსხლტეს გრავიტაციული ველის მარწუხებს. ზედაპირის ფართობს შავი ხვრელის გარშემო თავისი ზომა ახასიათებს და, ბუნებრივია, იგი შავი ხვრელის შიგნით თავმოყრილ მასაზეა დამოკიდებული. შემდგომში საქმეში კვანტური თეორია, კერძოდ კი „განუსაზღვრელობის" პრინციპი შემოდის, რომელიც კვანტური სამყაროს საფუძველში ძევს.

განუსაზღვრელობის პრინციპი კვანტურ დონეზე და ენერგიისათვის არის მართებული. ცარიელი სივრცის პაწაწა მოცულობაში, რომელშიც თითქოსდა არაფერი არ არის, ვაკუუმისგან შეიძლება გაჩნდეს ენერგიის უმცირესი თქაფუნი, რომელსაც კვანტური თეორიის მეოხებით თითქმის მყისიერი გაქრობა უწევს. ენერგიის ამგვარ ხანმოკლე თქაფუნს „ვაკუუმის ფლუქტუაციას" უწოდებენ. აინშტაინის განტოლებიდან ცხადია, რომ ენერგია მასის ეკვივალენტურია, მაშასადამე, განუსაზღვრელობის ენერგიას შეუძლია, ნაწილაკების წყვილად გადაიქცეს, იმ პირობით, რომ ისინი უმალვე კვლავ გაქრებიან.

როგორი უცნაურიც უნდა გვეჩვენოს ვაკუუმის, როგორც ნაწილაკების ბობოქარი მორევის აღწერა, იგი თანამედროვე ფიზიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ასეთ „ვირტუალურ" ნაწილაკებს რაღა ემართებათ, როცა ისინი შავი ხვრელის სიახლოვეს წარმოიქმნებიან?

ჰოკინგს შესანიშნავი აზრი მოუვიდა. დავუშვათ, რომ ვირტუალური ნაწილაკების წყვილი უშუალოდ შავი ხვრელის საზღვართან, თითქმის თვით მოვლენათა ჰორიზონტთან იბადება. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ წყვილის ერთი ნაწილი შავი ხვრელისკენ გაფრინდეს, მეორე კი — მისგან. რამდენადაც ნაწილაკებს მხოლოდ წყვილ-წყვილად გაჩენა ძალუძთ, მათ გაქრობაც (ანიჰილაციაც) მხოლოდ წყვილ-წყვილად შეუძლიათ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ვიდრე ანიჰილაციის დრო და-



საქართველოს
ბიბლიოთეკა

დგება, წყვილის ერთ-ერთი ნაწილაკი სამუდამოდ ჩაიკარგა შავ ხვრელში, მეორე კი დარჩა. გეგონება, „განუსაზღვრელობის“ პრინციპი ირღვევა, ნაწილაკი ხომ თითქოსდა არაფრისგან წარმოიშვა, მაგრამ ჰოკინგმა უჩვენა, რომ დარჩენილი ნაწილაკის გაჩენისათვის აუცილებელი მასა-ენერგია შავი ხვრელის მიზიდულობის ველს ერთმევა. საბოლოო ჯამში ხვრელი, ფაქტიურად, მასის უმნიშვნელო ნაწილს კარგავს და შესაბამისად ზომა ოდნავ მცირდება.

მოვლენათა ჰორიზონტზე მიმდინარე ამგვარი პროცესის შედეგად (იგი „ჰოკინგის აორთქლების“ სახელს ატარებს) შავი ხვრელი ნელნელა უნდა იკუმშებოდეს და თავის მასას ელემენტარული ნაწილაკების ნაკადად უნდა აქცევდეს. საბოლოოდ, ყოველ შავ ხვრელს თავისი დამახასიათებელი ტემპერატურა აქვს და მას ბოლოს და ბოლოს შეუძლია იმდენად შეიკუმშოს, რომ მოვლენათა ჰორიზონტი გაქრეს, სახილველად კი სინგულარობა დატოვოს.

ჰოკინგი გვთავაზობს, სამყაროს ოთხი განზომილება (სამი სივრცობრივი და ერთი დროისა) ისევე განვიხილოთ, როგორც დედამიწის ორგანზომილებიანი ზედაპირი.

დედამიწის ზედაპირი „ჩაკეტილია“, მას არ გააჩნია კიდე, საიდანაც გადმოვარდნა შეიძლებოდეს, მაშასადამე, იგი განუზომელია. ანალოგია უფრო გასაგები რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, რომ სამივე სივრცობრივი განზომილება ერთი პარალელით გამოისახება, რომელიც დედამიწის გარშემო, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და უკან, საწყისი წერტილისკენ მიემართება. დროის მიმართულებას შეესაბამება მერიდიანები, რომლებიც ერთი პოლუსიდან მეორისკენ მიემართებიან. განხილულ შემთხვევაში ჩრდილო პოლუსი შეესაბამება „ნულოვან დროს“ — სამყაროს დაბადებას დიდი აფეთქების შედეგად; განედს პოლუსთან ნულოვანი სიდიდე აქვს. დიდი აფეთქების შემდეგ სამყაროს გაფართოებისდა მიხედვით თვალი გავადევნოთ პარალელების ქცევას, რომლებიც სულ უფრო ახლოს გადის ეკვატორთან. დროთა განმავლობაში პარალელთა სიგრძე მატულობს — სამყარო ფართოვდება. მაგრამ ჩრდილო პოლუსი სულაც არ არის დროის „საზღვარი“, ისევე; როგორც „ქვეყნის დასალიერი“. უბრალოდ, ეს არის ადგილი, სადაც დროის ყველა მიმართულება უჩვენებს „წინ“, ისევე, როგორც ყველა მერიდიანი დედამიწაზე ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთისკენ მიდის.



ეკვატორს იქით რაღა მოხდება? თანამიმდევრობით გავლებული პარალელები სულ უფრო და უფრო დამოკლდება, სამყარო შეიკუმშება, ვიდრე მთლიანად არ გაქრება სამხრეთ პოლუსთან დიდი აფეთქების სარკისეულ ანარეკლში, რომელმაც იგი სასიცოცხლოდ გამოიხმო.

ახლა ისიც ვნახოთ, თუ რამდენად შეესაბამება ჰოკინგის ეს მოდელი რეალურ სამყაროს. ერთ-ერთი იმ ჰიპოთეზათაგანი, რომელსაც დღეს სერიოზულად განიხილავენ მეცნიერები, იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ვაკუუმის დიდმასშტაბიანი ფლუქტუაცია. ამერიკელი ფიზიკოსი ედ ტრაიონი მიიჩნევს, რომ, თუმცა ვირტუალური ნაწილაკების წყვილის სიცოცხლის ხანგრძლივობა მათი მასა-ენერგიის სიდიდით შემოისაზღვრება, არსებობს იმის ვარაუდი, რომ მთელი სამყარო წარმოიშვა არაფრისგან ნულოვანი მთელი ენერგიით. ასეთ შემთხვევაში მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა განუსაზღვრელია, რადგანაც კვანტური განტოლებანი ყოველთვის ენერგიტიკულად ბალანსირებულნი არიან.

ამგვარ დასკვნას საფუძვლად გრავიტაციული ველის ენერგიის თავისებურება უდევს. ნაწილაკის დადებითი მასა-ენერგიის მიმართ იგი ყოველთვის უარყოფითია. ამიტომაც ჩვენს სამყაროს სავსებით შეეძლო სივრცე-დროის პაწაწკინტელა ბუშტულის სახით გაჩენილიყო, რომელიც მთელ მის მასას შეიცავდა. ამასთან. სამყაროს მასა-ენერგია მის მასასთან დაკავშირებული მიზიდულობის ენერგიით იქნებოდა კომპენსირებული. ასე მაშინ ხდება, როცა მასა საკმაოდ დიდია საიმისოდ. რათა მის მიერ შექმნილი ველი არაფერს უშვებდეს გარეთ, ანუ თავად სამყარო თითქოსდა თავისებურ შავ ხვრელს წარმოადგენდეს. ახლახან დამუშავებული იქნა ე. წ. ინფლაციური თეორია. რომლის თანახმადაც მატერიის ამგვარი ზემკვრივი პაწაწა „ჩანასახი“ „გაბერვის“ შედეგად ჩვენთვის ნაცნობ დიდ აფეთქებაში გადაიზრდება.

# გალაქტიკის მიღმა



ამრიგად, კოსმოლოგებმა შექმნეს თავიანთი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა და საით მიდის ჩვენი სამყარო. ჩვენ გიგანტური შავი ხვრელის შიგნით ვცხოვრობთ, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს. იგი არაფრისგან იშვა და, აგერ უკვე 20 მლრდ. წელია, ფართოვდება, თუმცა კი სულ უფრო და უფრო ნელა. ოდესმე, შორეულ მომავალში, მიზიდულობის ძალა უთუოდ შეაჩერებს ამ გაფართოებას და უკან დააბრუნებს. მრავალი მილიარდი წლის განმავლობაში ეს პრაქტიკულად არც დაეტყობა ვარსკვლავებს, პლანეტებსა და სიცოცხლის იმ ფორმებს, რომლებისთვისაც სულ ერთი არ არის, თუ რა ხდება გარშემო. მაგრამ გალაქტიკები და ვარსკვლავები დაიწყებენ შეჯახებას და შერწყმას, სანამ ერთიან ამორფულ მასას არ შეადგენენ. ბოლოს და ბოლოს სამყარო დაიღუპება. გაქრება, როგორც ვაკუუმის სხვა ნებისმიერი ფლუქტუაცია. იმათ, ვისაც მეტისმეტად დააღონებს ჩვენი სამყაროს ეფემერულობა, შეუძლიათ იმით დაიმშვიდონ თავი, რომ სივრცე-დროის უსასრულობაში სხვა სამყაროებიც უნდა არსებობდეს — ზოგიერთი მათგანი ჩვენამდე არსებობდა, სხვები ჩვენს მერე გაჩნდნენ, არიან ისეთებიც, რომლებიც, გარკვეული გაგებით, პარალელურად არსებობენ.

„კურიერ იუნესკო“,
ივლისი, 1980 წელი.

# მაცხოვრის იგავები

„აღვაღო იგავით პირი ჩემი, ვიტყოდე მე იგავთა დასაბამისათა“

(ფსალმუნი 77, 2)

წმიდა სახარება მოგვითხრობს, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ხშირად იგავების ენით მიმართავდა როგორც მასთან მისულ ადამიანებს, ისე თავის მოწაფეებს. იგავთმეტყველება იყო ქრისტეს ერთ-ერთი უძლიერესი დამარწმუნებელი იარაღი. ცხოვრებიდან აღებული ამ ხატოვანი მაგალითებით იგი თავისი ჭეშმარიტი მოძღვრებისადმი რწმენას უნერგავდა თავის მოწაფეებსა და ხალხს.

ვიწყებთ ქრისტეს იგავების გამარტივებული ვარიანტების ბეჭდვას. იგავები გამარტივებულია სახარების ცნობილი კომენტატორის, თეოფილაქტე ბულგარელის მიხედვით.

## ორი ძე

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: „შვილო, წადი დღეს და ჩემს ვენახში იმუშავე“. მან უპასუხა: „არ მინდა“, ბოლოს კი ინანა. მამას რომ უარი უთხრა და წავიდა.

მივიდა მამა მეორესთან და იგივე უთხრა. მეორე ძე დაჰპირდა. წავალო, მაგრამ არ წავიდა.

კომენტატორის მიხედვით, ამ იგავში მამად წარმოდგენილია ღმერთი. რომელიც მოუწოდებს იუდეველებს. იმუშაკონ მის ვენახში და სინანულის ღირსი ნაყოფი შექმნან.

იგავის მიხედვით, ხალხი ორ ჯგუფად იყოფა. ერთ ნაწილს ღვთის სიტყვა გულთან არ მიაქვს, კანონს (სჯულს) არ ემორჩილება და საკუთარი ნაკლის დაფარვასაც არ ცდილობს. მაგრამ ღვთის ხმა, ბოლოს და ბოლოს, აღვიძებს მათ მიძინებულ სინდისს. და ცოდვილნი, დიდხანს რომ ჯიუტობდნენ, ღვთისაგან მოწოდებული საქმის საკეთებლად ბოლოს მაინც მიდიან. მეორენი კი, პირიქით, თავს მოაჩვენებენ საღმრთო სჯულისა და ღვთის მოწოდების სანიმუშო მიმდევრებად, მაგრამ მთელი მათი ზნეობრივი ენერგია მხოლოდ ამ მოჩვენებითობას ხმარდება.

იგავის დამატებაში იესო ეკითხება მღვდელმთავრებსა და უხუცესებს: „ამ ორი შვილიდან რომელმა შეასრულა მამის ნება?“ როცა უპასუხეს, პირველმაო, მან დასძინა: „ჭეშმარიტად გეუბნები თქვენ, რომ მეზვერენი (სარკის ამკრეფნი) და მეძავნი თქვენზე უწინ მიდიან ღვთის სასუფეველში, ვინაიდან იოვანე (ნათლისმცემელი) მოვიდა თქვენთან სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მეზვერეებმა და მეძავებმა ირწმუნეს იგი, თქვენ კი იხილეთ ეს და არ მოინანიეთ, რომ შემდეგ მაინც გერწმუნათ იგი“ (მთ. 21, 31-32).

„ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ, თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარი გონებისთვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ“ (ილია ჭავჭავაძე).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი ბედაური



## მოთხრობა

თენგიზ ჩალაური

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

**მეტოქეთაგან** გვარიანად დაწინაურებული თეთრი ბედაური უკანასკნელ მოსახვევში წაიქცა, ფინიშამდე სულ ასიოდე ნახტომის დაშორებით; მხედარმა რაღაც სასწაულით მოასწრო უზანგებიდან ტერფების გათავისუფლება და უკვე მუხლებზე წაჩოქილ ცხენს მალაყით გადაევლო თავზე.

ფაფარაშლილი ბედაური კისრით დაეცა; ოთხივე ფლოქვით ჰაერი დაწიხლა, სარბიელზე გაცურდა და მწვანე გაზონებს ზურგით შეენარცხა.

იარუსებზე თავშეყრილმა ათასობით მაყურებელმა ერთხმად შეჰყვირა და ფეხზე წამოიჭრა.

იპოდრომის მომიჯნავე შენობის მეოთხე სართულზე, თავის ოთახში დივანზე წამოწოლილი და ძილბურანში მყოფი ბატონი ირაკლი ამ ღრიანცელმა გამოაფხიზლა, მიხვდა, რომ იქ, ქვემოთ, რაღაც უჩვეულო მოხდა, ხვნეშით წამოიმართა და ფეხშიშველი გატყაპუნდა აივანზე.

დოღი დამთავრებულიყო, მაგრამ მაყურებელი მაინც არ იშლებოდა, ყველა იპოდრომის შორეულ კუთხეში გაშხლართულ ცხენს გასცქეროდა, რომელსაც რამდენიმე მხედარი და ლურჯხალათიანი მეჯინიბე დასტრიალებდნენ. თეთრონი დროდადრო თავს იქნევდა, ფაფარს აფრიალებდა, ტანსაც აყოლებდა და წამოდგომას ცდილობდა.

შუა სექტემბერი იდგა, თბილისურად მშვიდი და უქარო. მწუხრის მზე ცერად დასცქეროდა ქალაქს და ჩასვლას არ ჩქარობდა, დრო თითქოს შემდგარიყო და გარინდულიყო.

ბატონი ირაკლი ბინდმორეული თვალებით დააკვირდა საჯირითოს შორეულ კუთხეს და „წმინდა სისხლისა იქნებაო", — გაიფიქრა. მერე ოთახში შებრუნდა, დივანთან მიყრილ ფლოსტებში ფეხები წაჰყო და კაბინეტისაკენ გაემართა.

გზად სამზარეულოში შეიხედა. გაზქურასთან მიმდგარი მეუღლე კერძს კმაზავდა, სანელებლის სუნით მიხვდა, მისი ნუგბარი ხარჩო მზადდებოდა და წამხდარი გუნება ოდნავ გამოუკეთდა.

— ღომს მიხედე! — გასძახა ცოლს, ჰოლი გადაჭრა, კაბინეტის კარი შეაღო და წიგნების მასიურ კარადასთან მივიდა. თაროზე, ვაჟას „რჩეულის" გვერდით, ძველებური საზღვაო ბინოკლი იდო, „ცეისის" ფირმისა, ძვირფასი და იშვიათი. ფრთხილად აიღო და უკან გამობრუნდა. ჩოჩიალით მომავალი, გზადაგზა ლინზებს ორთქლავდა და ხალათის კალთით საგულდაგულოდ წმენდდა.

როდესაც აივანზე ხელმეორედ გავიდა, ბინოკლი მოიმარჯვა და ხრახნით სამზერად მოაწესრიგა.

თეთრი ცხენი წამოეყენებინათ და მეჯინიბეს ბონდრიკით მოჰყავდა. წინა მარცხენა ფეხი მათრახივით ეკიდა, ცალი ფერდი მიწით ჰქონდა მოთხვრილი, მოტეხილი კიდურის მხრიდან ჩია ტანის თავჩაქინდრული მხედარი მოჰყვებოდა.

„სასაკლაოზე მიჰყავთ..." — ბოღმიანად გაივლო გუნებაში ბატონმა ირაკლიმ, დურბინდი აივანზე გაძევებულ ძველ მაცივარზე შემოდო და მოაჯირს გადაეყრდნო.

იპოდრომიდან წამოსული მაყურებელი გამოსასვლელისაკენ დაძრულიყო, მეოთხე სართულის სიმაღლიდან ხალხის ეს დინება შემოდგომის ნაირფერი ფოთლებით მოჩითულ მდორე მდინარეს ჰგავდა, თავი რომ ჰქონდა და ბოლო არ უჩანდა.

„კრწანისის ომში რომ ამდენი მეომარი გვყოლოდა, სულ სხვანაირად დატრიალდებოდა ჩვენი ბედ-იღბალი, — გულნაკლულად გაიფიქრა და ისევ დურბინდს გადასწვდა. — ახლა კი რაში იხარჯება ერის დრო და ენერგია..."

ბატონი ირაკლი საქართველოს ისტორიის მკვლევარი იყო, პროფესორი, თავისი ქვეყნის წარსულზე იმდენად შეყვარებული, რომ სიზმრებსაც კი ისტორიულს ხედავდა ხოლმე. ხან დავითს ახლდა დიდგორში, ხან თევდორე ბერივით გზა-კვალს ურევდა მტერს, ზოგჯერ ჯანჭრობში ჩაფლული დელი სიმონის მხარდამხარ იბრძოდა და ასე, შფოთვასა და ოხვრაში ატარებდა ღამეებს.

ბინის კედლებიც ძველებური საომარი იარაღ-საჭურვლითა და გამოჩენილ მეფეთა თუ მხედართმთავართა ფრესკა-სურათებით ჰქონდა მორთული. მისი უპირველესი სასაუბრო თემა კი ერის დაკნინებასა და დაცემაზე წუწუნი იყო. წარსულით ამაყობდა, ახლანდელი არაფერი მოსწონდა. განსაკუთრებით იპოდრომზე მოსიარულე ხალხი აღიზიანებდა, ახლობელ-მეგობრებთან დაბეჯითებით ამტკიცებდა, „მაგათ დოღი და რბოლა, უმეთქვენთან ბოდიში და, შარვლის ტოტზე ჰკიდიათ, უმეტესნი ტოტალიზატორში ფულის მოგების იმედით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 წელი შეუსრულდა მწერალ თენგიზ ჩალაურს. „ნაკადულის" რედაქცია ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას ყმაწვილ მკითხველთა სახელით.

## პროზა

დიან, გნებავთ, ნიძლავსაც ჩამოვალ, ასიდან ერთსაც არ ეცოდინება ცხენზე რიგიანი ჯდომაო...“ თუმცა ერთი ავიწყდებოდა: ვერც თავად დაიკვეხნიდა სანაქებო მხედრობასა და მოჯირითეობას.

ახლაც, დურბინდმომარჯვებული, ხალხის უწყვეტ ნაკადს უმზერდა და გონებაში წელანდელი სინანული უტრიალებდა: „ჰაი, დედასა, ამდენი მებრძოლი კრწანისის ომშიო...“

ამ ფიქრში იყო, რომ მის სმენას რაღაც ღრიანცელისა და ყაყანის ხმა მისწვდა, დურბინდი აატარ-ჩაატარა და საკუთარ სადარბაზოსთან თავშეყრილსა და აჩოჩქოლებულ ახალგაზრდებს ჩააცქერდა.

ათიოდე გოგო-ბიჭი ირეოდა ერთმანეთში, უფროსკლასელები ან პირველკურსელები იქნებოდნენ. რაღაც ვერ გაეყოთ თუ ვერ გაერკვიათ. გოგონები შუაში ჩამდგარიყვნენ, ჭაბუკები კი ერთმანეთზე იწევდნენ. უფრო ყურადღებით რომ დააკვირდა, მაშინღა შენიშნა, ორი წამოყინჩული ბიჭი იქაჩებოდა აქეთ-იქიდან, სხვები აშველებდნენ. განსაკუთრებით ჯინსისპერანგიანი ფახიფუხობდა, მკლავებგაკავებული და მოჩხუბარი მამალივით მკერდგამობერილი იქადნებოდა — „მაგას როგორ ვაპატიებ, ადრე თუ გვიან ნაწლავებს გადმოვაყრევინებო“. მეორე, მაღალი და წაბლისფერთმიანი, შედარებით მშვიდად იდგა და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, დაცინვით შესცქეროდა მეტოქეს, მთელი თავისი მოჩვენებითი სიდინჯითა და ამაყი გამოხედვით ყველას აგრძნობინებდა: „ერთი გაბედოს, მოვიდეს, და მერე ვნახოთ, ვინ-ვისო“.

— რამ გადაგრიათ, გაგიჟდით?! — წიკვინებდა თმაგაჩეჩილი კნაჭა გოგო და დაფეთებული ხან ერთს მიეჭრებოდა, ხან — მეორეს, ხელების ქნევით რაღაცას ქაქანებდა, მაგრამ ნათქვამის აზრი აივნებზე გადმომდგარ სეირის მაცქერალ მობინადრეებამდე ვერ აღწევდა.

„ეს დავიდარაბა მაგ გაწნიკულის გამოა ატეხილი“, — დაასკვნა ბატონმა ირაკლიმ. — ყურასახევია ყველა, პატრონი არა ჰყავთ და რა გინდა, რომ ჰქნა?!“

ალბათ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ეს აყალმაყალი, მეშვიდე სართულიდან მეზობელ ქალს რომ არ ეკივლა, გაგიწყრათ გამჩენი, ამოეთრიეთ, თუ ამოდიხართ, გაცივდა ყველაფერიო!

ახალგაზრდები ზოზინით დაიძრნენ, ჯერ წაბლისფერთმიანი წამოიყვანეს თანატოლმა გოგონებმა მუჯლუგუნის კვრით; ბიჭებით გარშემორტყმულმა ჯინსისპერანგიანმა ცოტა ხანს კიდევ იბაქიბუქა, ბოლოს ისიც დაამშვიდეს, დაიყოლიეს და დარჩენილებიც ჯგროდ შელაგდნენ სადარბაზოში.

„რა ღმერთი გვიწყრება? — ჰკვირობდა აივნის მოაჯირს ჩამოყრდნობილი პროფესორი. — რამ აგვირია ასე თავგზა და რა ძალამ გადაგვაგვარა ასე ერთიანად, რომელმა გადამთიელმა ესროლა განხეთქილების ლოდი კოლხეთის მიწაზე ნაშობ გოლიათებს? ილუპება ქვეყანა, ვეღარ ვარჩევთ მტერ-მოყვარეს... და ისიც როდის, როცა ყოველი მხრიდან მოგვდგომია მოძალადე და სამუდამოდ ამოძირკვას გვიპირებს; ეს ჩვენი ახალგაზრდობა კი, იმის ნაცვლად, რომ ერთ მუშტად შეიკრას, მხარი მხარს მისცეს და ზურგი — ზურგს, ერთიმეორეს დარევია და უმოწყალოდ ქლეტს... ესაა ჩვენი მომავალი? ამათ იმედზე უნდა დარჩეს დაქცევის კარამდე მისული ქვეყანა?“

ამ სადარდებელში იყო, ცოლმა რომ გამოსძახა, სადილი მზადააო, და გულდამძიმებული პროფესორი სამზარეულოსაკენ გაემართა.

მსუბუქად დანაყრებულმა ისევ დივანს მიაშურა, მაღალი თავსასთუმალი მოიწყო და გაუხდელად წამოწვა, მერე თითქმის ზეპირად დასწავლილი დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ აიღო და ალალბედად მაინცდამაინც საქართველოს ყველაზე ბედშავ დღეზე, აღა-მაჰმად ხანის სისხლიან შემოსევაზე გადაშალა. ფურცელი გადაიკითხა, მეფე ერეკლეს პირველი გამარჯვების სიხარულიც განიცადა, მეორე დღის უმძიმესი ბრძოლებიც ჩაათავა და, როდესაც სპარსთა ლაშქა-



რი გადამწყვეტი შერკინებისთვის უნდა დაძრულიყო, პროფესორს თვალები მიებლიტა, წიგნი მკერდზე ჩამოესვენა და, მძიმე განსაცდელის მომლოდინეს, ჩაეძინა კიდეც. რამდენიმე წამში პროფესორმა მსუბუქი ფშვინვა ამოუშვა, ხოლო მისმა გონებამ ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა, ორ საუკუნეს გადაევლო და კრწანისის ომის იმ მონაკვეთში ჩაერთო, როცა ქართველთა განახევრებული ლაშქარი უკვე მარცხდებოდა და ერთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს მოწყვეტილი და დაქსაქსული მეომრები მხოლოდ იმიტომღა იბრძოდნენ, რომ სახელოვანი სიკვდილით დაესრულებინათ მოკლე წუთისოფელი.

რაღა თქმა უნდა, თავად ბატონი ირაკლიც იქ იყო, ხელმწიფის სპაში, პატარა კახის მცველთა შვიდკაციან რაზმში, და სეიდაბადის დაბალი ბექიდან გადაჰყურებდა ბრძოლის ველს. მხცით შემოსილი, ოთხმოც წელს მიტანებული მეფის გვერდით მდგომს სიმწრის ცრემლი მორეოდა თვალზე და გულ-სისხლი მზით გავარვარებულ თორ-ჯაჭვზე მეტად უდუღდა.

ისტორიის პროფესორი, როგორც კინოპროექტორში, ისე ცხადლივ ხედავდა სამშობლოს უმძიმეს განსაცდელს. არა ერთი, არამედ რამდენიმე ეკრანი ერთდროულად ჩართულიყო მის გონებაში და ყოველ მათგანზე მიმდინარე მოქმედებას სხვადასხვა გრძნობით განიცდიდა.

ტვინის ერთ უჯრედში სეიდაბადის სამხრეთ კალთებზე სამდღიანი ბრძოლებით ქანცგაცლილი ქართველთა ლაშქარი სისხლისაგან იცლებოდა, უკანასკნელად იგერიებდა | შვიდჯერ | უფრო მრავალრიცხოვან მტერს. მეორე უჯრედში წინა დღეებში სახელმოხვეჭილი სარდალი ზურაბ წერეთელი, რაღაც გაუგებრობის გამო, იმერეთის მეფე სოლომონის მეთაურობით თბილისს ტოვებდა და მხედრიონიანად დასავლეთისაკენ გაჩქარებით მიეშურებოდა. მესამეში — ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი, „ზაქიჭამიად" სახელდებული, სიღნაღის შუაგულში, უზარმაზარი კაკლის ჩეროში წამოგორებულიყო და ყანწს ყანწზე ცლიდა, ხოლო ბრძოლას მოწყურებული ოთხი ათასი კახელი მეომარი ბაიბურშიც არ იყო, რომ იქ, თბილისის კართან, საქართველოს ორასწლიანი მომავალი საბედისწეროდ წყდებოდა; მაგრამ მძინარე პროფესორი ყველაზე მეტად მეოთხე ეკრანმა განაცვიფრა: აქ, მეტეხის ხიდთან, ქალაქს სირბილით უახლოვდებოდა რუსთა მაშველი ჯარი, ყველაზე მეტი საოცრება კი ის იყო, რომ არაბუნებრივად ჩაცმულ ჯარისკაცებს ტრადიციული თოფ-ხიშტის ნაცვლად მესანგრეთა ალესილპირიანი ნიჩბები ეპყრათ ხელთ...

ცხადში — პროფესორი, სიზმარში კი მეფის პირადი მცველი ბატონი ირაკლი თვალმოუცილებლად მისჩერებოდა პატარა კახს, რომელსაც ოთხმოცზე მეტი დიდი და მცირე ომი გადაეტანა სიცოცხლეში და მარად გამარჯვებული, ახლა, ამ უკანასკნელ ომში, უნდა დამარცხებულიყო. ღრმა მოხუცებულებას მიღწეულ სვეგამწარებულ ხელმწიფეს აღარც ჯანი მოსდევდა, აღარც ჭაბუკური ენერგია, მაგრამ გული კვლავ ლომურად უძგერდა და ისტორიის პროფესორმა ისიც იცოდა, რომ რამდენიმე წუთში მეფე ერეკლე სპარსულ ქუდს მიწაზე დაანარცხებდა, კრწანისის ქარით უსპეტაკეს თმაწვერაშლილი, ბრძოლებში გაცვეთილ ხმალს იშიშვლებდა, თეთრ ბედაურს დეზს ჰკრავდა და დაჭრილი ლომის ბრდღვინვით დაეშვებოდა დამრეც ფერდზე, მაგრამ დეზსუჩვევი თეთრი ბედაური უეცრად წაიფორხილებდა და, ვიდრე წაიქცეოდა, ტანმორჩილ ხელმწიფეს გვერდითმყოფი შვილიშვილები მკლავებში წასწვდებოდნენ, აიტაცებდნენ და სამარქაფო ცხენზე გადააბრძანებდნენ.

ეს ყველაფერი რამდენიმე წუთში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა მეფე და მისი ამალა ქართველთა უკვე დაქსაქსულ, დანაწევრებულ და უთვალავი მტრისაგან



გარშემორტყმულ მებრძოლთა უკანასკნელ ჯიდილს ჩასცქეროდნენ. ცხენებდახოცილ ქართველებს ერთიმეორისათვის მიებჯინათ ზურგი, ხაფანგში მომწყვდეული მგლებივით იბრძოდნენ და ბრაზით ჩახლეჩილი ხმით ომახიანად მღეროდნენ. ოდითგანვე წესად მოსდგამდათ ივერთა ჯიშის მეომართ: გარდაუვალ სიკვდილს სიმღერით უნდა შეჰგებებოდნენ. კენტად დარჩენილნი, ერთიმეორისაკენ ხმალთაჩეხვით იკვლევდნენ გზას, რათა კიდევ ერთი წუთით, თუნდაც რამდენიმე წამით, მხარი მხრისათვის მიეცათ, ზურგი ზურგისთვის მიებჯინათ, რათა ერთურთის ბეჭების სითბო-სიმხურვალე ეგრძნოთ, ის სიმხურვალე, რომელსაც მოახლოებული სიკვდილის მსუსხავი სიცივე ვერასოდეს გაანელებდა.

სადაცაა, თეთრი ბედაურისათვის დეზი უნდა ეკრა პატარა კახს...

და სწორედ ამ დროს თავადაც სადავემოზიდულმა მეფის მცველმა, რომელსაც ომში გვირგვინოსნის მიტოვება სამშობლოს ღალატზე მეტ ცოდვად ეთვლებოდა, იქ, ქვემოთ, ისეთი რამ შენიშნა, რომ ლახვარდაკრულივით ოხვრა ველარ შეიკავა.

მისი ორი უახლოესი სიყრმის მეგობარი, ძმებად რომ თვლიდა, დავითი და ვახტანგი, მაჩაბელი და ნათელიშვილი, ცხადში სამოც წელს მიღწეული ქარმაგი კაცები, ახლა, ამ საზარელ სიზმარში კი ჭაბუკ მებრძოლებად გარდაქმნილნი და ერთიანად დაჭრილ-დაჩეხილნი, ვადაში გადამტვრეული ხმლებითღა იცავდნენ ერთმანეთს აფთრებივით გარშემოჯარული მტრისაგან. გიორგისათვის მოქნეულ მახვილს ვახტანგი უხვედრებდა მხარს, ვახტანგისაკენ ნასროლ შუბს გიორგი უფარებდა მკერდს.

— აჰაი დედასა! — დაიხავლა მძინარე პროფესორმა, მთელი სხეულით შეკრთა და დაფეთებულმა თვალი გაახილა.

ერთიანად გახვითქული და აცახცახებული, ჯერაც არ იყო გონს მოსული, მეუღლემ რომ მოაკითხა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან პირსახოციც შემოიყოლა, ჯერ შუბლი და მკერდი შეუმშრალა, მერე ჰაერიც დაუგრილა.

— ღმერთო, დიდებულო! — სული მოითქვა ბატონმა ირაკლიმ. — ეს რა საშინელება დამესიზმრა?!

— ბოლოს მოგიღებს ეს წიგნები, — უსაყვედურა აფუსფუსებულმა მეუღლემ, — რამდენჯერ გაგაფრთხილე, დაძინების წინ რაიმე მსუბუქი და გასართობი წაიკითხე-მეთქი! — უთხრა და „ახალი ისტორია“ გვერდიდან ააცალა.

— კარგი ერთი... — ხელი აუქნია ბატონმა ირაკლიმ, პირსახოცი გამოართვა და კისერქვეშ ამოიდო.

მეზობლის ბინიდან ხმამაღალი, არეულ-დარეული სიმღერა ისმოდა. „შავლეგ, შენი შავი ჩოხა...“ — იჭაჭებოდნენ სასმელმორეული ბიჭები, რომლებსაც მისამღერზე გოგონებიც ეშველებოდნენ და ისინი რომ არა, ვერც ტექსტითა და ვერც მელოდიით კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, რას მღეროდნენ შეზარხოშებული მოქეიფენი.

ბატონი ირაკლი დივანზე წამოჯდა. „ამათმა ბღავილმა თუ დამასიზმრა იმ სულკურთხეულების შეძახილი“. — გაიფიქრა და წელანდელის გახსენებაზე ციებიანივით გააჟრჟოლა, წელმოწყვეტილივით წამოიწია, ფლოსტებში ფეხები წაჰყო და აბაზანისაკენ გაეშურა. კარგა ხანს ისხა სახეზე ცივი წყალი, გრძნობდა, წნევა ჰქონდა აწეული, მაგრამ ვერც თავის ტკივილი მოიშორა და ვერც სიზმრიდან აყოლილი მაჯლაჯუნა.

„მეგობრები მაინც არ გამომცხადებოდნენ ასეთ უბედურ დღეში, — მალიმალ იმეორებდა ფიქრში. — ღმერთო, კეთილად ამიხდინე!“

ოთახში შემობრუნებული კვლავ დივანზე წამოწვა, მეუღლის მოტანილი წამლები სახედამეჭილმა ჩაყლაპა, ჰაერი არ მყოფნისო, დაიჩივლა და აივნის კარი ბოლომდე გამოაღებინა.

„მეფე ერეკლე იმ თეთრ ცხენზე იჯდა, დღეს რომ ფეხი მოიტეხა, — ძალაუნებურად ისევ სიზმარს მიუბრუნდა. — ეს ერთი და... დღესაც ხომ თერთმეტი სექტემბერია, კრწანისის ომის ბოლო დღე? ესეც მეორე... მესამე რაღა იქნება?“ — დაეკითხა საკუთარ თავს და, თუმცა წინათგრძნობისა არაფერი სწამდა, ნააზრევმა მაინც ჩააფიქრა.

ფიქრებაშლილმა აივნის ღია კარში გაატარა მზერა. მზე უკვე ჩასულიყო, დღის ნათელს გაფითრება მოსძალებოდა. შორს, თრიალეთის ქედისაკენ, უჩვეულოდ კამკამა და გამჭვირვალე ცა მოჩანდა.

რატომღაც სევდა შემოაწვა ბატონ ირაკლის, უმიზეზო და უსაბაბო.

ახლა დაბლიდან, ქუჩის მხრიდან მოისმა ბიჭების სიმღერა — „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო...“ წელანდელთან შედარებით უკეთესად მღეროდნენ, ჩანდა, ვიღაც მცოდნე შემატებოდათ, თუმცა დიდად ვერც ის შველოდათ და უეცრად, როგორც აჟივჟივებული ბეღურების გუნდი ტაშის შემოკვრაზე, ყველა ერთიანად გაჩუმდა და ხმა გაიკმინდა.

მერე კი მოისმა გინება — უწმაწური, საზიზღარი, გულისამრევი, ქართული სიტყვისათვის შეუფერებელი. იმ ბილწსიტყვაობას გოგონების ამაზრზენი კივილი მოჰყვა, ისეთი ცივი და შემზარავი, დათვსაც კი აუშლიდა ბალანს.

ბატონი ირაკლი მდუღარეგადასხმულივით წამოხტა და. შლეგივით გაიჭრა აივანზე. ისედაც აჩქარებული გულისცემა კიდევ მეტად აუჩქარდა, ყურებში დოლის ბაგაბუგივით ესმოდა მოძალებული სისხლის ძგერა.

მისი აივნის პირდაპირ, ვიწრო ქუჩის იქით მხარეს, დანაწევრებული და გაფანტული ახალგაზრდების ჯგუფი ჩოჩქოლებდა, მათ შუაგულში კი წაბლისფერთმიანსა და ჯინსისპერანგიანს მტკავლის სიგრძე დანები გაეშიშვლებინათ და პირისპირ დამდგარიყვნენ. ხანგამოშვებით ხან ერთი და ხან მეორე აქეთ-იქით იქნევდა დანას, რომ გამშველებელი არ მოჰკარებოდათ. ისინიც, მათი მეგობრები, ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, ბორძიკობდნენ და წინ წაქანებულ გოგონებს უკან ექაჩებოდნენ. მერე მოწინააღმდეგეებმა წრეზე იწყეს ბრუნვა. ეს ტრიალი, რაღაცით რიტუალურ ცეკვას რომ წააგავდა, აშკარად ჩანდა, უსისხლოდ არ დამთავრდებოდა, ბიჭებიდან არც ერთი არ იყო დამთმობი.

სუსტი მხედველობის გამო ბატონ ირაკლის ყველაფრის ზედმიწევნით აღქმა არ შეეძლო და მან გაუაზრებლად, ინსტინქტურად წამოავლო ხელი მაცივარზე შემოდებულ ბინოკლს, ქვევით ჩაიხედა და მეტოქეებს ჩააცქერდა. წინწაზრილი და ხელებგაშლილი ბიჭები ერთიმეორეს უტევდნენ, ერთის მოქნეულ დანას მეორე რომ აიცილებდა, მაშინვე საპასუხო ნახტომს აკეთებდა. ჯერჯერობით ორივეს ჰყოფნიდა სისწრაფე და თავდაცვის ინსტინქტი, მაგრამ ადრე თუ გვიან რომელიმე აუცილებლად შეყოვნდებოდა თუნდაც წამით და მაშინ...

— რას შვრებით, რას?! — იღრიალა ბატონმა ირაკლიმ, მაგრამ ყელიდან ხავილისა და დახშული ბგერების მეტი არაფერი ამოუვიდა.

ბატონმა ირაკლიმ ხელმეორედ ჩაისუნთქა და თუ აქამდე ბინოკლით მხოლოდ შერკინებულთა ხელებსა და ალაპლაპებულ დანის პირებს აკვირდებოდა, ახლა სრულიად შემთხვევით მათ სახეებსაც შეხედა — ჯერ ჯინსისპერანგიანს, მერე წაბლისფერთმიანს და ფილტვებში ჩაგუბებული ჰაერი თითქოს ადგილზევე ჩაეყინა:

წაბლისფერთმიანი ზედგამოჭრილი გიორგი მაჩაბელი იყო.

ჯინსისპერანგიანი ტყუპისცალივით ჰგავდა ვახტანგ ნათელიშვილს.

აღნაგობით, სახის მოყვანილობით ორივე ზუსტი ასლი და სრულყოფილი გამეორება იყო მისი მეგობრებისა, მათი განვლილი სიჭაბუკისა და ახალგაზრდობისა.

— გიორგი, ვახტანგ! — ახლა მთელი ხმით იყვირა ბატონმა ირაკლიმ, სასტიკი, მიწისშემრყეველი ხმით, და მაშინვე იგრძნო, რომ ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა, ფრინველივით ამსუბუქდა და, იმ თვალისდახამხამებაში, ვიდრე ასფალტს დაენარცხებოდა, ერთის გაფიქრება მაინც მოასწრო: „ესეც — მესამე...“



გულამოვარდნილი ბიჭები იპოდრომზე შეცვივდნენ. უზარმაზარი კაცი რომ მათ თვალწინ ასფალტს დაასკდა და პირიდან სისხლი გადმოანთხია, ვისაც საით მოუხერხდა, იქით გაიქცა. ვახტანგი და გიორგი ერთიმეორის გვერდით აღმოჩნდნენ, დასაწყისში ჯერაც გახსნილი დანებით გარბოდნენ, მერე სირბილშივე დაკეცეს და ჯიბეებში ჩაიწყვეს.

ახლა იპოდრომის იარუსებზე ერთიმეორის გვერდით ისხდნენ და აქოშინებულები ზიარ სიგარეტს აბოლებდნენ.

— ჩვენი სახელები მაინც საიდან იცოდა? — სიგარეტის ბოლს ამოაყოლა გიორგიმ.

— აბა, მე რა ვიცი... ზღაპარივით ამბავია, — მხრები აიჩეჩა ვახტანგმა.

წამით გაყუჩდნენ, დაღუპულის სახე გაიხსენეს, სხვადასხვა ვარიანტები გათვალეს, მაგრამ არც ერთი არ გამოადგათ.

— რამხელა კაცი იყო, საწყალი, ნახე?!

— აბა, ბიჭო!

გადაცემ-გადმოცემით სიგარეტი ფილტრამდე დაიყვანეს, მეტი აღარ ჰქონდათ, თუმცა გული კიდევ სთხოვდათ. უკვე აღარ ქოშინებდნენ, ჩაწყნარდნენ და დამშვიდდნენ.

— ე, — უეცრად წამოიყვირა ერთმა, — აზრზე მოდი, ბიჭო, თავზე რო დაგვცემოდა ეგ ახვარი...

ნათქვამზე გაეღიმათ, მერე წამით გაშეშდნენ, ჩაფიქრდნენ, ყველაფერი წარმოიდგინეს და თავშეუკავებლად ახარხარდნენ; ერთიმეორეს ბეჭებზე ხელს უტყაპუნებდნენ და მჯიღებით ცრემლებს იწმენდდნენ.

მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს სიცილი, როდესაც მათ წინ, სარბენ ბილიკზე, სატვირთო მანქანამ ჩაიარა ნელი სვლით. ხის საბარგულის მაღალი ტიხარიდან საოცრად ლამაზ, თეთრ ცხენს ჰქონდა თავი გადმოყოფილი და შემხვედრი ქარი, როგორც ზღაპრულ რაშს, ისე უფრიალებდა ვერცხლისფერ ფაფარს.

იპოდრომი, მიმწუხრის იასამნისფერი ბინდბუნდი და ქათქათა, თეთრი ცხენი რაღაც არაბუნებრივად, არარეალურად აღიქვეს ბიჭებმა.

მათ არ იცოდნენ, რომ თეთრი ბედაური დასაკლავად მიჰყავდათ.

არც ის იცოდნენ, რომ ბატონმა ირაკლიმ არა მხოლოდ მათი სახელები, არამედ გვარებიც ზუსტად იცოდა.

არც ის იცოდნენ, როდის და სად მოხდა კრწანისის ომი.



## პოეზია

ელგუჯა
ოგოლაშვილი

# გაზაფხულის შემოჭრუნჭა



ნერგს ამაყსა და
ჯერ პაწაწინას
მიეალერსა
წყარო ანკარა,
ნისლებმა წვიმა
გაცრეს საცრიდან
და მზე გაბრწყინდა
სხივებთაკარა.

შენკენ მოვილტვი,
ტკბილო ოცნებავ,
გაფანტე მწუხრი,
მთაო ჰალარავ,
და ანგელოსებს
უხმე ცოცხლებად,
ვინც მამულისთვის
სისხლი დაღვარა.

ვლოცავ ამ დილას,
განთიადს ახალს,
აისის შუქმა
კვლავ გამახარა.
მადლობა უფალს,
ღვთისმშობელს მაღალს,
ამღერდი, ცაო,
სჰექე ნაღარა!

აფეთქდა კვირტი,
მომავლის მეკვლე,
ლაღად დუდუნებს
წყარო ანკარა.
ჯანის სიმრთელე
ამ წმინდა ფესვებს
და საქართველოს,
მზიანს, თაკარას!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია

## ნოშრევან გელაშვილი

ნოშრევან გელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის ქალაქ სანტა-როზაში ცხოვრობს, მისი ფიქრი და ოცნება კი სამშობლო მხარეს, ბავშვობის ტკბილ მოგონებებს დასტრიალებს ნიადაგ.

ბედუკუღმართობით მშობლიურ ქვეყანას მოშორებული კაცის სევდა ჩაბუდებულა რუსთველის შაირით გაწყობილ პოემაში „დუშეთიდან შუაფხომდე“, რომელიც ბატონმა ნოშრევანმა „ნაკადულის“ კონკურსზე გამოგზავნა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ პოემიდან.



თვალწინ დამიდგა მშვენება,
ჩემი სამშობლოს მთებისა,
სურვილმა შემომიტია
შაირის ამონთებისა!

●

ქვეყანა ღმერთის ნაკურთხი, მისივე ნატახტარია,
მთა, ყვავილებით ნახატი, ედემის დარი ბარია,
ღმერთმა ქართველებს გაკუთვნათ, მტერთად ნურც მოსახმარია,
თქვენთვის ნათობდეს მარადჟამს ოქროს მზე, ვერცხლის მთვარია!

●

შუაფხო ფეთქავს ოდითგან, უკანაფშავის გულადა,
ტკბილმოუბარი ფშაველი აქ თავს გრძნობს გამართულა,
აქ ისმის ტკბილი კაფია, ჩუხჩუხა ნაკადულადა,
მისნობა გმართებს, შეიგრძნო ფშავის სიკეთე სრულადა!

გარიჟრაჟზე, როდესაც მზე მაღლა მთაზე გადმოდგება,
გაშუქდება, ამ პატარა მთის სოფელის ცქერით ტკბება,
ჩამოთბება, მზე თავისი გამთბარ სოფლით თვითონ თბება,
გაჰკვირდება, დაყოვნდება, სხვაგან წასვლა ავიწყდება!

●

ლურჯა ცხენი მოიყვანეს, ძლივს შეკაზმეს, წვალებითა,
ჭიხვინებდა, კოხტაობდა ტანზე შავი ხალებითა,
მიწას სთხრიდა ტორებითა, ცეცხლს აფრქვევდა თვალებითა,
ქვები ნაპერწკლებსა ჰყრიდა, დანაკვესი ნალებითა!

ხევსური მეტად იფერებს ცხენს გიჟს და გადარეულსა,
კლდის ბილიკაზე გაფრენილს, უშიშარს, შმაგად ქცეულსა,
ვაჟკაცს ამშვენებს, ცხენდაცხენ ფათერაკს მიჰყვეს ძლეულსა,
სიკვდილს რომ წამოაჩოქებს, მხნეობა გამოლეულსა!

●

დამატკბო სულში ბავშვობის ფიქრების შემოფრენამა,
პატარა ნაფეხურების ქვიშაზე შემორჩენამა,
ვერ გადაშალა ქვიშიდან ფშავის არაგვის დენამა,
ვერც მწარე ფიქრთა ნაკადის მუდამჟამს მონდომებამა!

ამბობენ, რომ რაც კი ჩნდება, ბერდება და ბოლოს კვდება.
შეიძლება, თუ ეს მცნება სამყაროსაც შეეხება,
ზოგჯერ ხდება, — ყოფის აზრი იცრიცება, ფერმკრთალდება,
მაგრამ წმინდა გრძნობის შუქი არასოდეს არა ქრება!

ხმელ ფოთოლს ჰგავს წელიწადი, ასე ინება ზენამა,
არ დაგვილონოს ჟამთა სვლამ, ხიდან ფოთლების ცვენამა.
მეგობრის ხსოვნა გვათბობდეს, არ გვიღალატოს რწმენამა,
მანამა ვცოცხლობთ, — ვიცოცხლოთ, იტკბილმეტყველოს ენამა...

 ცოტ-ცოტა ყველაფერზე...

## ისტორიული აპრილი

სანამ ჟურნალის ეს ნომერი მზადდებოდა, საქართველოს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენები მოხდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ თავის საგანგებო სხდომაზე, დაეყრდნო რა 28 მარტის რეფერენდუმის შედეგებს, საქვეყნოდ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, 14 აპრილს, უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს **ზვიად გამსახურდია**.

თემურ მეშველიანი

## სამრევლო სკოლა თბილისში

სიონის საკათედრო ტაძართან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეწევნითა და ლოცვა-კურთხევით, უკვე ერთი თვეა, მოქმედებს სამრევლო სკოლა. სკოლის პირველი აღსაზრდელები არიან სიონთან არსებული „ნორჩ მგალობელთა გუნდის 160 მომღერალი და სასწავლებელში შესვლის მრავალრიცხოვან მსურველთაგან შერჩეული რამდენიმე ათეული მოსწავლე. ასე რომ, სამრევლო სკოლას უკვე 300-მდე მსმენელი ჰყავს და, რაც ყველაზე საინტერესოა, აქ თავიანთი შვილების გვერდით, სწავლობენ მართლმადიდებლობის ანა-ბანაში გარკვევას დანატრებული მშობლებიც. გალობის, ხატწერისა და ქარგვის განყოფილებებზე ჯგუფები კვირაში სამჯერ ხვდებიან ერთმანეთს. სკოლაში მეცადინეობა ორცვლიანია. ძირითადი სასწავლო დისციპლინებია: საღვთო სჯული, ხუცური, წმინდანთა ცხოვრება, ერისა და ეკლესიის ისტორია.

## მიწისძვრა საქართველოში

29 აპრილს დამანგრეველი მიწისძვრის ტალღამ გადაუარა ჩვენს მრავალტანჯულ მიწას. როგორც სპეციალისტებმა მოგვიანებით დაადგინეს, მისი სიმძლავრე 9 ბალს აღწევდა. განსაკუთრებით დაზარალდნენ საჩხერის, ჭიათურის, ონის, ამბროლაურის, ტყიბულისა და ჯავის რაიონები. გარდაიცვალა 90-მდე ადამიანი, მათ შორის 20 ბავშვია. დაზიანდა და ჩამოიქცა ბევრი შენობა, დაინგრა სკოლებისა და საბავშვო ბაღების დიდი ნაწილი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად მობილიზებულია სრულიად საქართველო. დახმარების ხელი გამოგვიწოდა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ.

## კლიმატი და მიწისძვრები

ამერიკელმა მეტეოროლოგმა ჯ. ნემაიესმა ერთმანეთს შეადარა ატმოსფერული წნევისა და მიწისძვრების მრავალწლიანი მონაცემები. მეცნიერმა დაასკვნა, რომ ექსტრემალურად მაღალი ატმოსფერული წნევა, რომელიც ასეული კილომეტრის დაშორებით, წყნარი ოკეანის აკვატორიის თავზე წარმოიშობა, მიწისძვრის დეტონატორის როლს ასრულებს. ასე მოხდა, მაგალითად, კალიფორნიის სამხრეთში 1986 წლის ივლისსა და 1987 წლის ოქტომბერში.

## ფერი და მოსავალი

ამერიკელ მეცნიერთა დასკვნით, მოსავალი დიდადაა დამოკიდებული ნიადაგის შეფერილობაზე. ჩვეულებრივ, მიიჩნევდნენ, რომ ფოტოსინთეზში გადამწყვეტ როლს ფოთლების ზედაპირი ასრულებს. ახლა კი დადგინდა, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ სინათლესაც, რომელიც ნიადაგიდან აირეკლება და ფოთლების ქვემო ნაწილს ეცემა.

გამოირკვა, რომ თუ ნიადაგს წითელი პლასტიკატით და ამავე ფერით შეღებილი თივით დავფარავთ, პამიდვრის მოსავალი 20%-ით მატულობს, თუ ხელოვნური „ნიადაგი“ თეთრი ფერისაა, კარტოფილის მოსავალი 25%-ით იზრდება და ა. შ.

## რესტორანი ტრამვაიში

იტალიის ქალაქ ტურინში ტურისტებისათვის მუშაობს ტრამვაი-რესტორანი. ტრამვაიზე მოწყობილია თანამედროვე სამზარეულო, დარბაზი ორმოცადგილიანია. რესტორან-ტრამვაის მგზავრს შეუძლია ოთხი საათის განმავლობაში იჯდეს გემრიელი კერძებით გაწყობილ მაგიდასთან და თან ფანჯრიდან დაათვალიეროს ტურინის ღირსშესანიშნაობანი.

## მიწის სიღრმეში

ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მიწის სიღრმეში გადაიტანოს რკინიგზის ხაზები, რომლებიც ვენას ზალცბურგთან და გრაცთან აერთებენ. პირველი სამასკილომეტრიანი მიწისქვეშა ხაზის მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება.

## ბიზნესი ყინულით

გრენლანდია, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ყიდის აისბერგებს. მათ უმთავრესად იაპონია ყიდულობს. იაპონელ მეცნიერთა აზრით, ეს არის მსოფლიოში ყველაზე უფრო სუფთა ყინული, რომელიც წარმოიშვა დაახლოებით 100 ათასი წლის წინათ, მაშინ, როცა ატმოსფერო აბსოლუტურად სუფთა იყო.

## ტელეფონი ყრუთათვის

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ახალი ტიპის სატელეფონო აპარატი, რომელიც ხმოვან ბგერებს მოძრავ მულტიპლიკაციურ ნახატებად გარდაქმნის. კავშირი ჩვეულებრივი სატელეფონო არხებით ხორციელდება.

## კვიპაროსი მოგზაურობს

ჩრდილო ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ჰაობში ამაყად იდგა ვეება, ასწლოვანი კვიპაროსი. მაგრამ ჰაობში მურა ნახშირის საბადო აღმოაჩინეს და მისი ღია წესით დამუშავება დაიწყეს. 20 მეტრის სიმაღლის თექვსმეტტონიანი ხე 18 კმ-ის მანძილზე გადაიტანეს და ახლა იგი ქალაქ მოსტის კულტურის სახლის წინ მდებარე მოედანს ამშვენებს.

## იაფი ძიძა

ლოს-ანჯელესში მცხოვრებ ფილიპსონების ახალგაზრდა ოჯახს ძალიან გაუმართლა — თავიანთი ბავშვისათვის იაფადღირებული ძიძა იშოვნეს.

ძიძა — შიმპანზე, მეტსახელად მადონა, ერთ საათში შესრულებული სამუშაოსათვის თხოულობს მხოლოდ... ერთ ბანანს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დედაენის“ ავტორი

„ნაკადულის“ რედაქცია ჯანმრთელობას, ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებს და ულრმეს მადლობას უძღვნის ქალბატონ ბაბულია შელიას ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჩვენი ჟურნალის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე.

იაკობ
გოგებაშვილი

# საქართველოს ბუნება



დედამიწის ზურგზე ძნელად იპოვება იმისთანა ქვეყანა, რომ სიმშვენიერით საქართველოს სჯობდეს. ბევრს ქვეყანას უჭირავს სრულიად სწორე და ვაკე ადგილი, რომელიც თავისი ერთფეროვნობით კაცს გულს უწვრილებს და სადაც დაბალი სერიც კი, მცენარეობით შემოსილი, ადამიანის თვალს არ ასიამოვნებს. ზოგი ქვეყანა მოფენილია ტიტველა კლდეებით, სადაც ამწვანებული მინდორი იშვიათი სანახავია. ჩვენი სამშობლო ქვეყანა მოშორებულია ამ ორსავე უკიდურესობას. საქართველოს ბუნება ძალიან მდიდარია და შემკულია სხვადასხვა სურათებითა. აქ კაცი ჰხედავს ვრცელს ვაკეს, რომელიც სხვადასხვა მოსავლით საამურად დაფენილია; იქ თვალს წარმოუდგება მთები, შემოსილი მრავალგვარი ხეებითა. აქ მწვანედ ბიბინებს ტყეებს შუა გაგრძელებული ველი; იქ თვალს იტაცებს მთებს შუა ვიწრო ხეობა, სავსე ბევრნაირი ხეხილითა და მცხოვრებლებით. ქართველებიც სილამაზით თავის სამშობლოს არ დაუვარდებიან; ქართველისა, ბერძნისა და ჩერქეზის სილამაზე მთელს ხმელეთზეა განთქმული. ჩამომავლობით ქართველები უწარჩინებულეს — კავკასიის ტომს ეკუთვნიან და ნიჭიერ ხალხთა რიცხვში ურევიან.

ამისთანა ქვეყნის შესწავლა უცხოსათვისაც საამურია, და ქართველისათვის ხომ სირცხვილია, რომ თავისის ქვეყნის გაცნობას არა სცდილობდეს.

## ქართული თამაშები

# დროშობანა

ეს ერთ-ერთი უძველესი თამაშია.

თამაშობს 14-16 ბავშვი. ისინი თავდაპირველად ამზადებენ შუახაზს. ხაზიდან ურთიერთსაპირისპირო მხარეს ას-ას მეტრს გადაზომავენ და დროშებს დაასობენ (დროშად ხმარობენ ნაჭერგამობმულ პატარა ჯოხს). შემდეგ მოთამაშენი გაიყოფიან შუაზე და ორივე ჯგუფი დაიჭერს თავის ადგილს შუახაზის მარჯვნივ და მარცხნივ.

თუ რომელიმე მოთამაშე იხელთებს დროს, გაიქცევა მოწინააღმდეგის დროშის მიმართულებით, მოჰგლეჯს მას და ცდილობს, როგორმე ისე გადმოიტანოს თავის ნახევარზე, რომ „მტერი“ ხელით არ შეეხოს. თუ რომელიმე მოწინააღმდეგეთაგანი ხელით შეეხო, იგი „გაჭრილად“ ითვლება და ადგილზე უნდა გაქვავდეს. ეს მოთამაშე ფეხს ვერ მოიცვლის მანამ, სანამ თავისი გუნდიდან ვინმე არ მიეხმარება, — „მტრის“ ტერიტორიაზე არ გადმოვა და ხელის შეხებით არ „გააცოცხლებს“ მას. მაგრამ თუ ეს დამხმარეც „გაჭრეს“, ისიც ვალდებულია, ადგილზე „გაქვავდეს“. შემდეგ დანარჩენები შეეცდებიან მათ დახმარებას, თუმცა, ამასთან ერთად, თავიანთი დროშაც უნდა დაიცვან „მტრისაგან“.

რომელი გუნდიც მოახერხებს დროშის გადმოტანას შუახაზს აქეთ, მას ეწერება ერთი ქულა, მერე კი ყველაფერი თავიდან იწყება. თამაში შეიძლება გაგრძელდეს სამ ქულამდე, ხუთ ქულამდე ან მანამდე, სანამ მოთამაშეებს არ მოეწყინებათ.

ჩაწერილია სამცხე-ჯავახეთში
ნოდარ ივანიძის მიერ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ვიკითხოთ

რეზო ჭეიშვილი

**ბატონ რეზო ჭეიშვილს საქართველოში რეკლამა აღარ სჭირდება და მაინც, თუ ჩვენი ახალგაზრდა მკითხველების ნაწილს ჯერ კიდევ არ წაუკითხავს მისი მშვენიერი წიგნები, გვინდა ვაცნობოთ, რომ წინ დიდი სიამოვნება ელით. ეს ორი ნოველა მწერლის ნებართვით ავიღეთ რომანიდან „მუსიკა ქარში“.**

# ლანდები ჭაში

დამტოვეს წაღვერში, ბავშვთა დასასვენებელ ბანაკში. თითქმის ყველაზე უმრწემესი აღმოვჩნდი და ჩემი თავი ჩააბარეს უფროსკლასელ ორ გოგონას და მომვლელ ქალს, ჩვენს ნათესავს თუ ნათესავის ახლობელს. გოგონები, რომელთაც ჩემი მეურვეობა იკისრეს, თვითონაც დამფრთხალნი ჩანდნენ პირველ დღეს. შემდეგ ალბათ მალე გაშინაურდნენ და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, აღარც ჩემს მიმართ გამოუჩენიათ განსაკუთრებული ყურადღება.

სადღაც წაგვიყვანეს, სადღაც მთელ ბანაკს გადაგვიღეს სურათი. მეორე დღეს მოვიდა ფოტოგრაფი და მოიტანა ფოტოსურათები.

ყველამ შეიძინა ფოტოები ჩემს გარდა. ზოგმა ერთი იყიდა, ზოგმა — ორი, ზოგმა — ათი ალბათ. ფული არ მქონდა. არავინ შემიწუხებია, ჩემს მაგივრად არავინ შეწუხებულა და დავრჩი ხელცარიელი.

მთელი დღე იმ ფოტოებს დააფრიალებდნენ ბავშვები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გული დამწყდა, ვიდარდე დაძინების წინ. გვიან ჩამეძინა და სიზმარიც კი ვნახე.

ვხედავ, მეორე დღეს იმ ფოტოსურათების ნაკუწები ყრია ძირს. სურათი ვიღაცას დაეხია და დაეფანტა პირდაპირ დერეფანში. უნებურად დავიხარე, ავიღე ერთ-ერთი ნახევი და ზუსტად ჩემს თავს გადავაწყდი. თითქოს საგანგებოდ ვიყავი ამოგლეჯილი საიდანღაც. ჩამოვჯექი მერხზე იმ სურათის ნაკუწნაგლეჯიანად. ვზივარ, ვუყურებ ჩემს გამოსახულებას. ახლაც ვხედავ ნათლად და ბუნდოვნად.

...ჭაში ვიცქირებოდი თითქოს ოდესღაც. ძლივს ვწვდები გვიმს. ფეხის ცერებზე აწეული ჩავყურებ წყლის ზედაპირს. წყლის სარკეს და ჩემსავე ლანდს ვაკვირდები. დღის რა მონაკვეთში ჩანს ნეტავი ბავშვი ჭაში?

ქვიტკირის ნამცეცს ვაგდებ წყალში. გამოსახულება იმსხვრევა, ტორტმანებს, წრეებად იგორგლება, ცოტა ხნის შემდეგ ხაზები იკვრება, გამოსახულება მთლიანდება. კიდევ ვისვრი ქვიტკირის ნამცეცს, კვლავ იშლება და მთლიანდება ბავშვის გამოსახულება. დავყურებ წყლის სარკეს, ფოტოსურათის ნაგლეჯს, — ხან გარკვევით, როგორც ახლა, ხან ბუნდოვნად, როგორც ახლა და მაშინ, ვხედავ და ვერ ვხედავ ჩემს გაუკუღმართებულ გამოსახულებას.

წამომდგომია თავზე უფროსი ბიჭი და დამჩერებია. მე ნახევს ვუყურებ, ის მე მიყურებს და ნახევსაც. ეს უფროსი ბიჭი, მგონი, რაღაც რაზმის ხელმძღვანელი, თუ რაღაც იმდაგვარი თანამდებობის მქონე პირი, გულკეთილი ადამიანი უნდა ყოფილიყო და ჩემი შეწუხებული სახის შემხედვარე, არანაკლებ შეჭირვებული მზერით იყო გაჩერებული. მისი მზრუნველი, ალერსიანი გამოხედვა დავიჭირე თუ არა, ფოტოსურათის ნახევი გადავაგდე და წავედი.

ბიჭმა ის ნახევი აიღო, დახედა, სინანულით გააქნია თავი და, როგორც ჩანდა, უფროსებს მოუყვა, რაც ნახა.

უფროსები კი თანაგრძნობით მიყურებდნენ ვახშამზე. იღიმებოდნენ, ჩურჩულებდნენ და კვლავ მე მომჩერებოდნენ. პირში ლუკმა აღარ ჩამდიოდა ამათ მაყურებელს. ძალად ვჭამდი, უდარდელად ვიხედებოდი აქეთ-იქით, თითქოს ბაიბურში არ ვიყავი, თითქოს ვერაფერს ვერ ვხედავდი. მოვკვდი და აღარ დავრჩი, სინამდვილეში.

ვიღას ვახსოვდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მომდევნო დღეებშიც თანაგრძნობით მაკვირდებოდნენ. იქ გაჩერება აღარ მინდოდა და წამიყვანეს კიდეც, საბედნიეროდ.

სახლი აშენებული დამხვდებოდა, მეგონა, მაგრამ არ აშენებულიყო. სამაგიეროდ სახლობა ეტყობოდა, დაჩენოდა ადამიანის ხელი. ქვედა სართული ამოეშენებინათ, გადაენივნივებინათ და მეორე სართულის აგურის კედელი ამოჰყავდათ ერთდროულად ოთხივე მხარეს.

წითელი, გაპრიალებული აგურის კედლები, ხარიხად აყოლილი, დიშლად და ტარაღად გამოკოპიტებული კუთხის ქვები და კარნიზები ამშვენებდა უკვე შენობას, რომელიც მალე იქცეოდა სახლად, სადაც უნდა გვეცხოვრა, გვეძინა, გვესვა, გვეჭამა და დავხოცილიყავით, ბოლოს და



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს. ცოტა უცნაური კი იყო ეს ყველაფერი, ჩემთვის ძნელი და რთული ასახსნელი, თუმცა თავის მტვრევად ღირებული, რადგან ბავშვთა დასასვენებელი ბანაკი და იქ გატარებული დღეები გადამავიწყდა. ძილის წინ კი მაინც ბანაკი გამახსენდა. დავინახე ფოტოსურათების დაფანტული ნაკუწები, ჭაში ჩასული ლანდები, წყლის სარკეზე დამსხვრეული ხატება, რომელსაც უაზრო თანაგრძნობით, ნაძალადევი ღიმილით და ჩურჩულით ათვალიერებდნენ ოდესღაც, შეიძლება ჩემს დაბადებამდე.

— მე სკოლაში არ წავალ გაისად... — ვთქვი მეორე დღეს, შუადღისას, სადილობის დროს.

— რატომ არ წახვალ? — გადმომხედა მამამ და გაზეთი დაკეცა.

— იმიტომ.

— მაინც?

— აბა რატომ დამტოვეთ წაღვერში!..

— ხედავ, რა თქვა!.. — დედაჩემს გასძახა გაოცებულმა მამამ. — რა კავშირი აქვს წაღვერს და სკოლას ერთმანეთთან?

ხმა აღარ გამიღია. მართლაც და რა საერთო უნდა ჰქონოდა სკოლას და ბანაკს. გაიგებ?.. ისე კი, ძალიან ძნელი ასატანია, შესაბრალისი რომ გახდები თავმოყვარე კაცი, მაგრამ თუკი გითანაგრძნობენ, თუკი ადამიანი შენს მაგივრად შეწუხდება, რა უნდა გქონდეს სასაყვედურო და გულში ხინჯად ჩასატოვებელი?! არაფერი და მაინც, ერთი ფოტოსურათი ეჩუქებინათ სამახსოვროდ, ყველაფერს აჯობებდა.

# მაისი

მაისის მზიან დღეს ქალაქში პირველი კენგურუ გამოჩნდა. ბაღში მოსეირნე ხალხმა იხუვლა და ჭიშკრებს მიაწყდა.

არავის კენგურუ არ ენახა ამ ქალაქში. ავედევნე მორბენლებს მთავარანგელოზის ეკლესიასთან, გავასწარი ბარე ორ მადევარს და მარეკს და მეწინავე ჯგუფში ჩავდექი. რას მივდევდით, რა გვინდოდა კენგურუსაგან?!

მეწინავე ჯგუფი შედგა. რამდენიმე კაცი გაშეშდა ერთდროულად. გიმნაზიის მხრიდან ჩვენკენ, შუა ქუჩაში მოხტოდა კენგურუ, ნამდვილი კენგურუ. ერთ წყება ხალხს გამოქცეული, გადაგვაწყდა ჩვენ. შედგა, ჩაჯდა მძლავრი კუდითა და ფეხებით. პატარა, უმწეო თათები ჩამოყარა გულმკერდთან. იჯდა და გვიყურებდა. გიმნაზიასთან აშლილი ხალხი უახლოვდებოდა უკნიდან.

— ეს არის კენგურუ? — თავისთავს ჰკითხა ბაზრიდან მომავალმა ხელკალათიანმა გლეხმა. იჭვიანი მზერით რომ მიჩერებოდა ცხოველს, რომელიც, მისი ვარაუდით, გარეულს არ ჰგავდა და საჭმელადაც უვარგისი უნდა ყოფილიყო. მზისგან თვალმოჭუტული ფაფანაკს ისწორებდა, ცალი თვალით კენგურუს უყურებდა, ცალით — ხალხს. ესენი მე ხომ არაფერს მიწყობენო, ფიქრობდა.

კენგურუ მოულოდნელად შეცმუკდა, წამოხტა და დიდრონი, მოხდენილი ნახტომებით ჩაუარა თეატრს, დაუპირისპირდა ბაზარს, შეუხვია მარცხნივ და გაუჩინარდა. გიმნაზიის მხრიდან მორბენალი ხალხი უკანვე გაბრუნდა, გზა თუ უყელეს კენგურუს. ბაზრიდან ხალხი გამოცვივდა, აქედან ჩვენ გავქანდით. მოსახვევიდან ბავშვებმა გამოყვეს თავი, დასცეს ყიჟინა და მიიმალნენ კენგურუსთან ერთად.

გულამომჯდარი დავწინაურდი, შევუხვიე მარცხნივ და ქუჩაში მოხტუნავე კენგურუს მივაწიე თვალი, იგი ხალხით გავსებულ ტროტუარებს შორის მიხტოდა. მოვერცხლისფრო, მოყავისფრო ზურგი ელავდა დროდადრო. წითელ ხიდთან შედგა, მოტრიალდა, რამდენიმე ნახტომით დაგვიახლოვდა და შუა ქუჩაში დაყუნცდა.

ნელ-ნელა შემოეხვია კენგურუს დაღლილი ხალხი. ნუშისებური თვალებით ერთ მხარეზე იხედებოდა მხოლოდ იგი, პატარა, შავი დრუნჩი და შავი ტუჩები უცმაცუნებდა შეუმჩნევლად, ბლის ფოთლისგვარი ყურები უთრთოდა. ხალხი კი გროვდებოდა და გროვდებოდა.

ხიდის მხრიდან თავს ნუ დაუვლითო, იძახდა ვიღაც ავტორიტეტული ხმით, რომ მოკლათ, არაფრით ხიდზე არ გავაო. რატომ არ გავიდოდა არაფრით ხიდზე კენგურუ, ხალხმა არ იცოდა.

— შინაური კენგურუა, თვითონ წავა სახლში, თავი დაანებეთ! — თქვა ერთმა.

— როდის დაიწყეს ჩვენკენ ამის მოშინაურება? — გაუკვირდა მეორეს.

არ შეიძლება, აქ, ამ ქალაქში კენგურუ არსებობდესო, უხსნიდა ჭაღარათმიანი, წარმოსადეგი, კარგად ჩაცმული მოქალაქე ახლომახლო მყოფთ, ესო, განაგრძობდა იგი, ავსტრალიური კურდღლის რომელიღაც გიგანტური სახესხვაობააო.

კენგურუ ისევ ატოკდა. შეიძლება წარმოსადეგი, კარგად, მაგრამ ძველმოდურად ჩაცმული მამაკაცის სიტყვებმაც შეურაცხჰყო; ახტა, გახტა და ხტუნვა-ხტუნვით გადაიარა წითელი ხიდი.



ვინ თქვა, ხიდზე არ გავაო, გაბრაზდა ერთი კაცი, რომელსაც ეტყობოდა, ფეხსაცმელები უჭერდა და სიმწრის ოფლი ასხამდა სირბილის დროს. ხალხი აღარ განძრეულა. ხიდგალმა თითქმის აღარავინ გაყოლია კენგურუს.

— სათაფლიაზე წავიდა, — განაცხადა იმ კაცმა, ადრე რომ ამტკიცებდა, არაფრით ხიდზე არ გავაო.

კენგურუ კი თეთრი ხიდით შემობრუნდა ქალაქში.

ულრუბლო დღე იყო. მოლაჟვარდისფერებული ცა ჩანდა წყალგაღმა. ნიავი არ იძროდა. ჩადიოდა მზე და მეწამული ფერი ედებოდა რიონის ქვებს, წყალს და ხიდის ბურჯებს.

მარტოდმარტო, დაღლილი და მოწყენილი ვიდექი ხიდს ქვემოთ, ჭადრებთან, გიმნაზიის ეზოში და ვუყურებდი ჩამავალი მზის სხივებში აფერადებულ თეთრ ქვებს, თეთრ ხიდზე მოაჯირის გასწვრივ მიმქროლავ მოყავისფრო, მოვერცხლისფრო კენგურუს, დაღლილი და გაოცებული რომ ბრუნდებოდა უკან.

რა გინდოდა, კენგურუ, იმ მაისს ჩვენს ქალაქში?!

მხატვარი
კარლო ფაჩულია



# „ა"

„ნაკადულის" რედაქცია თხოვნით მიმართავს ყველა თაობის ქართველ მწერალს, მხატვარს, მეცნიერსა თუ საზოგადო მოღვაწეს. ნებისმიერ მოქალაქეს, ვისთვისაც სულ ერთი არაა, როგორი მომავალი გაეზრდება ჩვენს სამშობლოს, აქტიურად ითანამშრომლონ საყვარელ ჟურნალთან, შეავსონ სარედაქციო პორტფელი გემოვნებიანი, მაღალმხატვრული ნაწარმოებებით.

აკადემია — ერთ-ერთ ომში, რომელიც სპარტასა და ათენს შორის გაიმართა, სპარტელებმა გაიმარჯვეს, ათენი და მისი მიდამოები აიკლეს და მხოლოდ მათი მომხრის, ათენელი აკადემის მამული დაინდეს. ამის შემდეგ აკადემია მშვიდობისა და სიმშვიდის სიმბოლოდ იქცა.

მოგვიანებით ამ სოფელში დასახლდა დიდი მოაზროვნე პლატონი (427-347 წწ. ძვ. წ.), რომელიც ფილოსოფიას ასწავლიდა თავის მოსწავლეებს. პლატონის სკოლა მისი გარდაცვალების შემდეგაც მოქმედებდა და თითქმის 800 წელს იარსება. იმ დროიდან მთელ რიგ სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტებს აკადემია ეწოდება.

აკადემიის მსგავსად, გეოგრაფიული სახელწოდება დაედო საფუძვლად ლიცეუმს — ათენთან ახლომდებარე ადგილის, ლიკეიონის მიხედვით, სადაც არისტოტელე (384-322 წწ. ძვ. წ.) ატარებდა ფილოსოფიის გაკვეთილებს. ტერმინი გიმნაზია კი წარმოიშვა ბერძნული სიტყვისაგან „გიმნაზო", რაც ნიშნავს: ვავარჯიშებ, ვწვრთნი.

არქტიკა — დედამიწის ჩრდილო პოლარული წრე ჩრდილო განედის 66,59°-დან იწყება. ჩრდილო პოლუსის თავზე, ზენიტში, დიდი დათვის თანავარსკვლავედი ჩახჩახებს. დათვს ბერძნულად არქტოსი ჰქვია და სიტყვა არქტიკაც აქედან წარმოიშვა (დიდი დათვის თანავარსკვლავედის ახლოს, სხვათა შორის, არის კაშკაშა ვარსკვლავი არქტური).

სამხრეთ პოლარულ წრეს ანტარქტიკა ეწოდება (ანტი ბერძნული სიტყვაა და საპირისპიროს, საწინააღმდეგოს ნიშნავს).

ატმოსფერო — ბერძნული სფაირა ქართული ბურთის, სფეროს შესატყვისია. დედამიწის ზღვებისა და ოკეანეების მთელ მასას ჰიდროსფერო ეწოდება (ბერძ. ჰიდორ — წყალი), მატერიკების (კონტინენტთა) ერთიანობას — ლითოსფერო (ბერძ. ლითოს — ქვა). ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს გარს აკრავს ჰაერის მასა, რომელსაც ატმოსფეროს ვუწოდებთ (ბერძნ. ატმოს — ორთქლი). ცხოველურსა და მცენარეულ სამყაროს ბიოსფეროს ვეძახით (ბერძნ. ბიოს — სიცოცხლე). ატმოსფეროს ქვედაფენებს (დაახლ. 10-18 კმ-ის სიმაღლემდე), სადაც ჩნდება ღრუბლები და სანდახან ჰექა-ქუხილი მძვინვარებს, ტროპოსფერო ეწოდება (ბერძნ. ტროპოს — ცვალებადობა), ფენას დაახლოებით 80 კმ-ის სიმაღლემდე — სტრატოსფერო (ბერძნ. სტრატუმ — გაშლილი, განფენილი), მომდევნო ფენას (რამდენიმე ასეული კილომეტრის სისქისას) — იონოსფერო (იქ მოლეკულების დიდი ნაწილი ატომებად და იონებადაა დაშლილი), ხოლო მის ზემოთ მოთავსებულ ფენას (800-1000 კმ-ის სიმაღლიდან) — ეგზოსფერო (ბერძნ. ეგზო — გარეთა). ამის შემდეგ კოსმოსური სივრცე იწყება.

ასტეროიდი — პლანეტა (ბერძნული სიტყვისაგან პლანეტეს — მოხეტიალე) ციური სხეულია, რომელიც მზის ან რომელიმე სხვა ვარსკვლავის გარშემო ბრუნავს (დედამიწის თანამგზავრს მთვარე ჰქვია, სხვა პლანეტების თანამგზავრებს უცხოურად სატელიტებს უწოდებენ, რაც ქართულად თანამგზავრს ნიშნავს).

მარსსა და იუპიტერს შორის მიმოფანტულია სხვადასხვა ზომის შედარებით მომცრო (მათგან უდიდესის დიამეტრი 800 კილომეტრია) ციური სხეულები, რომლებიც, ერთი ვარაუდის თანახმად, გაურკვეველი მიზეზით დამსხვრეული პლანეტა ფაეტონის ნარჩენებია. ისინიც ელიფსური ორბიტით ბრუნავენ მზის გარშემო. ამ ნამსხვრევებს ასტეროიდები ეწოდებათ (ბერძნული სიტყვებიდან ასტერ — ვარსკვლავი და ეიდოს — მსგავსი). ზოგი ასტეროიდი (ან კომეტის ნამსხვრევი) ზოგჯერ ასცდება თავის ორბიტას და დედამიწის ატმოსფეროში შემოიჭრება. მათი ნაწილი ატმოსფეროში შემოსვლისას ვარვარდება და მთლიანად იწვის (მათ მეტეორებს ეძახიან), ზოგიც დედამიწის ზედაპირამდე აღწევს (ესენი მეტეორიტები არიან).



მეტეორების წვიმა. 13 ნოემბერი, 1833 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

### „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“

ასე იტყვიან ორპირი და ორგული კაცის მისამართით.

მეფე თეიმურაზ მეორეს ჰყოლია ერთი ორჭოფულად მოლაპარაკე, ხუმრობისა და ენამოსწრებულობის წყალობით თავისთან დაახლოებული ბერი, სახელად მანასე. ამ მანასე ბერთან საუბრისას თეიმურაზ მეფე, თვით მოხუმარე და მოლექსე, მიულექსავდა თურმე მას: ასე, ჩემო მანასეო, ხამ ისე და ხან ასეო.

არსებობს ამ გამოთქმის დამკვიდრების სხვაგვარი ვერსიაც:

მეფე გიორგი XIII-ს მოურავად ჰყოლია ვინმე მანასე, ხუმრობის მოყვარული კაცი. ერთხელ ეს მანასე მეფესთან სწორედ იმ დროს შესულა, როცა იგი მთელი თავისი სახლეულობითა და სტუმრებით სუფრასთან ყოფილა მიმჯდარი. მეფეს უკითხავს: რა ამბავია, ჩემო მანასე, რას იტყვიო. მანასეს რაღაც მოუხსენებია. მეფეს მისი ნათქვამი არ მოსწონებია. მაშინ მანასეს სიტყვა გადაუსხვაფერებია. მეფეს გასცინებია და უბრძანებია: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

### „მამა აბრამის ბატკანი“.

იგულისხმება უდანაშაულო ადამიანი, არცთუ იშვიათად იხმარება ირონიული მნიშვნელობით.

„დაბადებაში“ ნათქვამია, რომ აბრამი იყო მამამთავარი, გამორჩეულად ერთგული ღვთისა. ღმერთმა მოისურვა, გამოეცადა აბრამი და მოსთხოვა, შენი შვილი ისაკი მსხვერპლად შემომწირეო. აბრამმა გადაწყვიტა ღვთის მოთხოვნის აღსრულება. თავისი შვილი წაიყვანა მაღალ მთაზე, სადაც „აღაშენა მუნ საკურთხეველი“, დააწყო შეშა, დააწვინა ზედ ისაკი და აღმართა მახვილი მის მოსაკვდინებლად. მაშინ დარწმუნდა ღმერთი აბრამის ერთგულებაში და უბრძანა ანგელოზს, დაეშალა აბრამისთვის შვილის მოკვლა. ანგელოზმა აბრამს მსხვერლის შესაწირავად მიჰგვარა ვერძი. აი, სწორედ ეს უდანაშაულო ვერძი (ბატკანი) შესწირა შვილის ნაცვლად აბრამმა ღმერთს.

# დიდი ადამიანები ხუმრობენ

### ავტოგრაფი

ერთმა მდიდარმა ავტოგრაფების კოლექციონერმა ცნობილ გერმანელ მხატვარს, ბერლინის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტ ლიბერმანს წერილი გაუგზავნა, გთხოვთ, კოლექციისათვის ორიოდ სიტყვა დამიწეროთო.

პასუხად შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„დიდად პატივცემულო ბატონო, ბატონი ლიბერმანი თავის ყველა ნახატს ხელს აწერს, ხოლო ავტოგრაფს არასოდეს იძლევა. ერვინ შულცე, მდივანი“.

რამდენიმე დღის შემდეგ ლიბერმანი იმ კოლექციონერს მეჯლისზე შეხვდა და ჰკითხა, წერილის გამო ხომ არ მემდურითო?

— მე ის მაშინვე ცეცხლში შევაგდე, — მიუგო მან უკმაყოფილოდ.

— აფსუს, თვითონ დავწერე, მე ხომ მდივანი არ მყავს, — უთხრა მხატვარმა.

### ზუსტი პასუხი

ერთმა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ყბედმა მეთვრამეტე საუკუნის გერმანელ მწერალსა და სწავლულს გეორგ ქრისტოფ ლიხტენბერგს ჰკითხა:

— შეგიძლიათ ამიხსნათ, რა განსხვავებაა დროსა და მარადისობას შორის?

— სამწუხაროდ, ეს ყოვლად შეუძლებელია, — მიუგო ლიხტენბერგმა, — რადგან ამის ახსნას დრო რომ მოვანდომო, თქვენ მარადისობა დაგჭირდებათ გასაგებად.

### პაემანი

ერთხელ დიდ ინგლისელ მწერალს ბერნარდ შოუს ბარათი გაუგზავნა მისმა თაყვანისმცემელმა ქალმა:

„მსურს თქვენი გაცნობა. იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდ საათამდე შინ ვიქნები“.

შოუმ შეიტყო, რომ იგი იმ მრავალრიცხოვან აბეზარ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც გამოჩენილ ნაცნობთა კოლექციას აგროვებდა და პასუხად მისწერა:

„საოცარი დამთხვევაა, მოწყალეო ქალბატონო, სწორედ იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდ საათამდე მეც შინ ვიქნები“.

### უბრალოდ...

— ძნელია ფრანგული ენის შესწავლა? — ჰკითხა დიდ გერმანელ პოეტს ჰაინრიხ ჰაინეს ერთმა მაღალი წრის ქალმა.

— სრულებითაც არა, — მიუგო პოეტმა. — უბრალოდ, გერმანული სიტყვების ნაცვლად ფრანგული სიტყვები უნდა ვიხმაროთ.

თარგმნა ზ. ამირანაშვილმა.

გვერდი, სადაც ეს განცხადება იბეჭდება, მზადა ვართ, მომავალი ნომრიდანვე მთლიანად დავუთმოთ რეკლამას, თუკი, რესაკვირველია, განათლების სისტემაში შემავალ რომელიმე ორგანიზაციას ან საბავშვო პროდუქციის მაწარმოებელ რომელიმე დაწესებულებას, ან კომერციულ ფირმას ასეთი სურვილი გაუჩნდება.



- ყოველწლიურად დედამიწაზე ეცემა 50 000 მეტეორიტი.
- დედამიწის დღე-ღამის ხანგრძლივობამ ბოლო 89 საუკუნის განმავლობაში 0,07 წამით მოიმატა.
- მანძილი დედამიწის ცენტრიდან მთვარის ცენტრამდე 6 სმ-ის სიზუსტითაა გაზომილი.
- იმ ათასი მეტეორიტიდან, რომლებიც ავსტრალიაშია ნაპოვნი, ათი მთვარეული წარმოშობისაა.
- ჩინელი ასტრონომების დასკვნით, 1715 წლიდან 1987 წლამდე პერიოდში მზის რადიუსი 410 კმ-ით შემცირდა.
- ობის ხოკო, რომელსაც ცომში ხმარობენ, ჭრილობის შეხორცებასაც უწყობს ხელს.
- ჰაერში ამიაკის შედგენილობის მომატებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქათმის კვერცხის ხარისხზე.
- აშშ-ში შექმნეს სპეციალური აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა, სატელევიზიო პროგრამები ჩვეულებრივი ელექტროსადენებით გადაიცეს.
- ეგრეთ წოდებული „სათბურის ეფექტის“ წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებს მეთანი, რომელსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყოფენ ქვანახშირის მაღაროები, მესაქონლეობის ფერმები, სანაგვეები და... ბრინჯის ნათესები.
- ცხენებს ბავშვებივით ეშინიათ სიბნელისა და ელექტრონათურით განათებულ სათავსში ამჯობინებენ ძილს.
- რაიმეს გააზრებისათვის ადამიანის თავის ტვინს მხოლოდ ნახევარი წამი სჭირდება.
- გიგანტური კუს სიჩქარე წუთში 4,8 მეტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოცანები

არ გეგონოთ მოკრივე —
არც ფეხი აქვს, არც ხელი,
არც არავინ მეგულვის
იმის თვალით მნახველი,
მაგრამ თუკი დაარტყა
მოზრდილსა თუ პაწიას,
ნოკდაუნში ჩააგდებს,
სასიკვდილოდ გასწირავს.

●

ამ უსულო საგანის
სხვა ნიშანი არც გინდა:
მოგაჩვენებს ყველაფერს
ხან პატარად, ხან დიდად.

●

ამობრწყინდება, როდესაც
ჩამობნელდება ცა, მაშინ,
პლანეტა გახლავთ, მის სახელს
ხმარობენ ნარდის თამაშში.

ალ. გორგიშელი.

●

შავკაბიანი ასული
ამოძვრა შავი ხვრელიდან,
მაღლა და მაღლა წავიდა
ტანის ლამაზი რხევითა.

●

თავი ამაყად უჭირავს,
შემართული აქვს ყელი.
შებინდებისას იძინებს,
გათენებისას მღერის.

●

ერთ პაწაწინა დარბაზში
ოცდაათამდე კაცია,
თხუთმეტი თეთრად ქათქათებს,
თხუთმეტს შავები აცვია.
ერთურთს ხოცავენ ორი ქვით
უიარაღო კაცები,
ერთ-ერთი ბოლოს იმარჯვებს,
თუმცა არ კვდება არცერთი.

●

ცალი ფრთა მაქვს, ისიც —
თავზე,
ტანი კი მაქვს შიშველი,
წვიმიანში თუ მომენდე,
ცოტას მაინც გიშველი.

ნ. გვარიშვილი.

# კროსვორდი



თარაზულად: 1. მზის სისტემის პლანეტა; 6. მწვრთნელი; 9. საქართველოს რაიონული ცენტრი; 10. ლიტვის ქალაქი; 15. ლიბიის დედაქალაქი; 17. ძველი ეგვიპტის მეფე; 18. წყლის მცენარე დუმფარისებრთა ოჯახისა; 19. ქართული საესტრადო ანსამბლი; 20. დგუშიანი მანქანის დეტალი, რომელიც დგუშს აერთებს ცოციასთან; 21. მუხლის სახსრის ანთება; 22. ერთად აკინძული ილუსტრაციების, სურათების, ნახაზების კრებული.

შვეულად: 2. რაიმე მანქანის მექანიზმის დაზიანება; 3. წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 4. მუქლურჯი სალებავი ნივთიერება, რომელსაც ქიმიური წესით იღებენ; 5. მინერალური წყალი; 8. მარნეულის რაიონის სოფელი; 11. რისამე შესავალი, დასაწყისი; 12. ზღვრული ნორმა; 13. კონტინენტი; 14. მეომარი ქვეყნის მიერ თავის ტერიტორიაზე ნეიტრალური ქვეყნის ტრანსპორტის შეპყრობა საომრად გამოყენების მიზნით.

რკალურად: 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედურ პუნქტებში გადატვირთვის გარეშე; 7. აზიის სახელმწიფო; 16. უწმაწური სურათები, ლიტერატურა.

შეადგინა
ალ. გორგიშელმა.

„ყვირილის ჩრდილოეთ არს მაღალ კლდესა ზედა ციხე ........, მოზღუდვილი კლდითა და უბრძოლველი მტრისაგან".

ცნობილი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი ძეგლის სახელია შარადის პასუხი.

დასაწყისად თუ მაკეტის
სხვა სახელი გახსოვს.

# შარადები

დაიტოვე წინა სამი
და კიდური ასო.
თან ხაფანგის სხვა სახელი
დაგჭირდება ბოლოს
და პირველი თანხმოვანი
შეიცვლება მხოლოდ.
იქ ანბანის მეცამეტე
ასო გინდა ახლა;
შეკრიბე და იმ ციხე-კოშკს
იმერეთში ნახავ.

●

ცისფერთვალებიანი,
სურნელებით განთქმული, —
იმ ყვავილით იწყება
„დედაენა" ქართული,
დასკვნისათვის პაწია
აბეზარი მწერია,
შერწყმამდე კი მათ შორის
ასოც ჩასაწერია. —
და მწვერვალად იქცევა,
ხცადე, განა ძნელია.

შოთა
ამირანაშვილი.

# გასაღები

## კროსვორდი

თარაზულად: 1. გოლგოთა; 5. ეკლესია; 8. კერპი; 9. ლიტავრა; 11. ფრიდონი; 13. იმამი; 14. ლანდი; 15. აბედი; 18. იტალია; 21. მარხვა; 23. ნოე; 24. ოდა; 25. უხიაგი; 26. რაველი; 27. ხია; 29. ენა; 30. ლიმონი; 32. ოფელია; 35. ლიბია; 38. მარხი; 39. გირჩა; 41. ნაცვალი; 42. ნიადაგი; 43. კრინი; 44. არითმია; 45. აღდგომა.

შვეულად: 1. გოლეული; 2. ლიტრი; 3. აკაცია; 4. ქრისტე; 5. ეიფელი; 6. ხიონი; 7. ავიაცია; 10. ვუალი; 12. იონჯა; 16. ბზე; 17. დრო; 19. ტუხტი; 20. ანიხი; 21. მარაო; 22. ვალხი; 28. ალი; 29. ერი; 30. ლიტანია; 31. ნარმა; 33. ფერია; 34. არქტიკა; 35. ლირიკა; 36. ბიბლია; 37. აგონია; 38. მოცვი; 40. აყალო.

## გამოცანები

ელვა, კრუხ-წიწილა, კურდღელი, არწივი.

## შარადები

კალამი, ალამი; ღრუ, ბელი, ღრუბელი.

## სახალისო ამოცანა

ნიკოს 7 ცხვარი ჰყავს, ნინოს — 5.



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ







სანამ

თბილისის

ზოოპარკში

ნახავდეთ...











## მშობლების საყურადღებოდ!

ალბათ, ბევრ თქვენგანს ეტკინება გული, როდესაც გაიგებს, რომ საქართველოში მოსწავლეთათვის გამომავალი ერთადერთი ჟურნალის ტირაჟი წელს 35 000 ეგზემპლარს არ აღემატება. არადა, იყო დრო (მაშინ „ნაკადულს“ „პიონერი“ ერქვა), როდესაც ტირაჟმა 160 000 ეგზემპლარსაც კი გადააჭარბა.

რატომ დაეცა ტირაჟი? მიზეზი ბევრია, შედეგი კი — ერთი და სამწუხარო: მრავალი თქვენგანი საკუთარ შვილს ხელიდან აცლის შესაძლებლობას: ა) შეიყვაროს წიგნის კითხვა, ბ) დაიხვეწოს გემოვნება, გ) მიიღოს მრავალმხრივი და აუცილებელი ინფორმაცია ქრისტიანული რელიგიის საკითხებზე, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებზე...

ამის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება: 1991 წლის მეორე ნახევრის ექვსი ნომრის გამოსაწერად თქვენი ოჯახური ბიუჯეტიდან უნდა გამოიმეტოთ სულ რაღაც 2 მანეთი და 40 კაპიკი.

ნუ დარჩებით „სოიუზპეჩატის“ ჯიხურების იმედზე — ისინი „ნაკადულს“ ძალზე მცირე რაოდენობით იღებენ.